MES 1 22 0000020514

14/01/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 24.12.2021
სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 22:40 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია (I, II, III საკითხი)
სხდომის მდივანი: მაკა კაჭარავა (IV, V, VI საკითხი)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

- **ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
- **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
- **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
- **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
- **ნიკა თიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;

- **გიორგი ღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- **დავით კაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
- **დიანა მჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
- **ეკატერინე ნაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
- **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
- **მაკა კაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
- **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;
- **ანა ფირცხალაშვილი** - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" სამეცნიერო კველვების მიმართულებით ვიცე-რექტორი;
- **ნინო ჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
- **ანზორ ბერიძე** - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
- **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ჯავახიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	თეა კორძაძე	**სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I, II
2	ნანა შონია		ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	I, II
3	დავით გეგეჭკორი		პროგრამის ხელმძღვანელი	I, II
4				I, II

	თენგიზ კუპრაშვილი		ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროს	
5	დავით მახვილაძე	**სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**III**
6	ივანე ჯაგოდნიშვილი		სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი	**III**
7	ეკატერინე შაკიაშვილი		სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**III**
8	იაშა კუტუბიძე		დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სოციალური მეცნიერებები“ ხელმძღვანელი,	**III**
9	მამუკა ბერიშვილი		პროფესორი	**III**
10	ლია მეტრეველი		პროფესორი	**III**
11	თამარ ბერიძე		პროფესორი	**III**
12	კახა კოპალიანი		პროფესორი	**III**
13	კახა ქეცბაია		პროფესორი	**III**
14	ნანული დანელია		ავტორიზაციის და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	**III**
15	მანანა შამილაშვილი	**სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	**IV, V, VI**
16	ნათია კუპრაშვილი		სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი	**IV, V, VI**
17	მაია ტორაძე		საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	**IV, V, VI**
18	მარი წერეთელი		სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი	**IV, V, VI**
19	რევაზ ჯორბენაძე		ფაკულტეტის ხარისხის უზრნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელ	**IV, V, VI**
20	მარეხ დევიძე		ფაკულტეტის ხარისხის სამსახური	**IV, V, VI**
21	ნინო ქიმერიძე		თსუ ხარისხის უზუნველყოფის სამსახური.	**IV, V, VI**

აკრედიტაციის ექპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	გვანცა აბდალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
2	ხვიჩა ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
3	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
4	ნანი ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II
5	ანა კირვალიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
6	ეკატერინე ფირცხალავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
7	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV, V, VI
8	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV, V, VI
9	ნატალია თვალჭრელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V, VI
10	ნინო შოშიტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V, VI
11	მალხაზ გაგუა	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V, VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მედიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:
არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მედიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

პირველი საკითხი : სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	17.10.2011, გადაწყვეტილება N118
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ინტეგრირებული პროგრამა სოციალური მეცნიერებები (მოდული-საერთაშორისო ურთიერთობები)
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის #59 4600, .ქუთაისი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება~
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

სსაბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებ ლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გვანცა აბდალაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი მიმდინარეობდა 2 დღის მანძილზე ონლაინ ფორმატში (ZOOM) შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. აკრედიტაციის ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუები უსდ და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, უსდ და ფაკულტეტის ხარისხის მართვის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელდა ინფრასტრუქტურის დათვალიერება, საბიბლიოთეკო რესურსებისა და პერსონალისა და სტუდენტების სერვისების განხორციელებული საუნივერსიტეტო პლატფორმების გაცნობა. ვიზიტმა ჩაიარა კეთილგანწყობილ, კოლეგიალურ გარემოში.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმში პროგრამის შედეგების რეფორმულირება ცოდნაგაცნობიერების ნაწილში პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული დარგობრივი ასპექტების გათვალიწინებით და პასუხისმგებლობა-ავტონომიურობის ნაწილში იმ ასპექტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის სტრუქტურით და შეესაბამება სფეროს საფეხურს;
- რეკომენდებულია, გაიზარდოს პროგრამის არჩევითი ნაწილის მოცულობა და გამრავალფეროვნდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი სფეროს სფეციფიკისა და სწავლების დონის შესაბამისი სასწავლო კურსებით;
- რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში დარჩეს მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების minor პროგრამა;
- რეკომენდებულია, პროგრამის სტუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატოს ეკონომიკის შემსწავლელი საბაზისო კურსი (შესავალი ეკონომიკაში ან ეკონომიკის საფუძვლები) ხოლო არსებული კურსი „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ გადავიდეს სტრუქტურის არჩევით ნაწილში და მის წინაპირობად განისაზღვროს ეკონომიკის შემსწავლელი საბაზისო კურსი;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“ გადანაცვლდეს VII ან VIII სემესტრში;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“; სასწავლო კურსი „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსებისთვის: „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“, „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“; სასწავლო კურსს „სსრკ დაშლა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური პრობლემები“ მოეხსნას არსებული წინაპირობა („პოლიტიკური იდეოლოგიები“) და წინაპირობად განესაზღვროს „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“;
- რეკომენდებულია, დაზუსტდეს სათაური სასწავლო კურსებისთვის: „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“; „საერთაშორისო ურთიერთობები და საგარეო პოლიტიკა“; „საერთაშორისო კონფლიქტები და მსოფლიო წესრიგი“; „მიგრაცია და საერთაშორისო ურთიერთობები“; „პოლიტიკური კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული“;
- რეკომენდებულია, განხორციელდეს შინაარსობრივი ცვლილებები შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსებში: „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“; „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“; „საერთაშორისო კონფლიქტები და მსოფლიო წესრიგი“;

„პოლიტიკური კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული“; „პროფესიული პრაქტიკა“;

- რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში ყველა თემას მიეთითოს სავალდებულო ლიტერატურა;
- რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში გამრავალფეროვნდეს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა (ახალი გამოცემებით, ინგლისურენოვანი ლიტერატურით, უცხო ენებიდან ნათარგმნი ლიტერატურით, პოლიტიკის დოკუმენტების გამოყენებით, სასარგებლო ბმულების მითითებით და სხვ.);
- რეკომენდებულია, მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტების ის რაოდენობა, რა რაოდენობის სტუდენტებისთვისაც შეუძლია პარტნიორ ორგანიზაციებს პრაქტიკის უზრუნველყოფა, ასევე, პრაქტიკის სავარაუდო ხანგრძლივობა და დანიშნულება;
- რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდების ნაკლები უნიფიცირება სასწავლო კურსის შინაარსისა და შეფასების სისტემის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია, უსდ-მ მოახდინოს პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენების შესახებსფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია, შეფასების რუბრიკები და მეთოდები გახდეს არაუნიფიცირებული თითოეული სასწავლო კურსისთვის სასწავლო კურსის შინაარსისა და მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა კორძაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს დეტალური განხილვისთვის. დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული მიგნებები და რეკომენდაცია/რჩევები, რომელთა გათვალისწინება მიზანეწონილია იმისათვის, რომ პროგრამამ სრულად დააკმაყოფილოს აკრედიტაციის სტანდარტები. თეა კორძაძემ დამატებით აღნიშნა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია.

პროგრამის ხელმძღვანელი, დავით გეგეჭკორი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებამ პროგრამის არჩევით ნაწილში დაამატა შემდეგი სასწავლო კურსები „ კულტურათა ურთიერთმიმართება და კულტურათაშორისი კომუნიკავია „ (II სემესტრი), „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ (III სემესტრი) და „აშშ- საგარეო პოლიტიკა“ (IV სემესტრი).

მე-2 რეკომენდაციასთან მიმართებით, დავით გეგეჩკორმა განმარტა, რომ პროგრამის სტრუქტურის სავალდებულო ნაწილს დაემატა სასწავლო კურსი „ეკონომიკის საფუძვლები“, რომლის მოცულობა განისაზღვრა 5 კრედიტით და განხორციელდება მეორე სემესტრში. სასწავლო კურსის სილაბუსი შემუშავებულია და წაკითხული იქნება ეკონომიკის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის მიერ. რაც შეეხება, სასწავლო კურსს „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები“ გადატანილია არჩევითი სასწავლო კურსებში, წინაპირობად განესაზღვრა სასწავლო კურსი „ეკონომიკის საფუძვლები“ და განხორციელდება მესამე სემესტრში. მან დამატებით განმარტა, რომ აღნიშნული ცვლილებები ასახულია საბაკალავრო პროგრამის „საერთაშორისო ურთიერთობები“ სასწავლო გეგმაში (სტრუქტურაში).

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დავით გეგეჩკორმა აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურაში განხორციელდება ცვლილება მომდევნო სასწავლო წლიდან, რომლის მიხედვით სასწავლო კურსი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“ განხორციელდება VII ან VIII სემესტრში.

მე-4 რეკომენდაციასთან მიმართებით დავით გეგეჩკორმა აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურაში მითითებულ სასწავლო კურსებს განესაზღვრა წინაპირობები, რაც აისახა შესაბამის სილაბუსებში.

მე-5 და მე-6 რეკომენდაციებთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა დავით გეგეჩკორმა განმარტა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტში მოყვანილი აღნიშნული რეკომენდაციების და შესაბამისი კომპონენტის აღწერის ნაწილში ასახული დეტალების გათვალისწინებით გადაიხედა მითითებული სასწავლო კურსების სილაბუსები. მან დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულება არ ეთანხმებოდა რეკომენდაციას სასწავლო კურსების სათაურების დაზუსტებასთან დაკავშირებით, თუმცა, შინაარსობრივი ცვლილებები უკვე განხორციელდა განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის მიერ.

მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დავით გეგეჩკორმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის ფარგლებში იყო დაფიქსირებული სასწავლო კურსების სილაბუსებში ყველა თემასთან მიმართებით სავალდებული ლიტერატურის მითითება. პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა იმუშავა ამ მიმართულებით და აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია. სასწავლო კურსების სილაბუსებში გადაიხედა აღნიშნული ნაწილი და დაკორექტირდა.

მე-8 რეკომედნაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა დავით გეგეჩკორმა აღნიშნა, რომ აწსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის განხორციელებისას ერთ-ერთი საკითხი სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურის გადახედვაა და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება. სასწავლო კურსებში კონკრეტულ საკიხთებთან მიმართებით სასწავლო ლიტერატურა მუდმივად საჭიროებს განახლებას. აწსუ-ში მოქმედებს შემდეგი პრაქტიკა ლიტერატურასთან დაკავშირებით, სილაბუსის ავტორს შესაძლებლობა აქვს წარადგინოს სასურველი ცვლილებები სილაბუსში შესაბამისი არგუმენტაციით, მათ შორის ლიტერატურასთან დაკავშირებული, და ფაკულტეტის საბჭოზე განიხილვა/დამტკიცების შემდეგ ყოველი ცვლილება აისახება სილაბუსში. ფაკულტეტის ადმინისტრაცია აწსუ-ს ბიბლიოთეკის ადმინისტრაციასთან ერთად მუდმივად ახორციელებს სასწავლო კურსების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების (სავალდებული ლიტერატურა) განახლებას. რაც შეეხება ანალიტიკური ცენტრებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ დოკუმენტებსა და ბროშურებს, ისინი ხშირად დამატებით მასალად მიეწოდებათ სტუდენტებს. მან დამატებით აღნიშნა, რომ ინსტიტუციის მოსაზრებით მოცემული რეკომენდაციას შესაძლებელია გაცემული იყოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ რჩევის სახით.

2.4 კომპონენტთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მემორანდუმები არის დოკუმენტი, რომელშიც ასახულია მხარეებს შორის თანამშრომლობის ზოგადი პრინციპები, ხოლო მემორანდუმის საფუძველზე ფორმდება ხელშეკრულება პარტნიორებთან პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიზნით და მასში აისახება სტუდენტების რაოდენობა და საჭირო ინფორმაცია პრაქტიკიდ განხორციელების უზრუნველსაყოფად.

სწავლა-სწავლების მეთოდთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების სილაბუსების შექმნისას აკადემიური პერსონალი მოქმედებდა აკადემიური თავისუფლების ფარგლებში. სწავლება-სწავლის

მეთოდები, მითითებული სასწავლი კურსების სილაბუსებში, აკადემიური პერსონალის მიერ განსაზღვრული იყო სასწავლო კურსების შინარსისა და შეფასების სისტემის, ასევე მათი განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია ასევე მე-12 რეკომენდაცია, კერძოდ პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების სილაბუსების შექმნისას აკადემიური პერსონალი მოქმედებდა აკადემიური თავისუფლების ფარგლებში. შეფასების რუბრიკები და მეთოდები მათ მიერ განსაზღვრული იყოს კურსის მიზნების, შედეგებისა და შინაარსის გათვალისწინებით, ასევე მათი განხორციელების მრავალწლიანი გამოცდილების საფუძველზე. გადაიხედა სილაბუსები და ტექნიკური ხარვეზები გასწორდა.

რაც შეეხება 4.4 კომპონენტს, აწსუ-მ უკვე შეიმუშავა ცვლილებების პროექტი პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტში, რომლის თანახმად ბიუჯეტში ასახული იქნება ფინანსური ხარჯები ყველა ტიპის აქტივობისთვის, მათ შორის დაგეგმილი სხვადასხვა პროექტებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ კურიკულუმში არ არის მოცემული კვლევის მეთოდების კომპონენტი, ისევე როგორც აკადემიური წერა. შესაბამისად, მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ დააზუსტა დასკვნაში 2.4 ქვესტანდარტთან მიმართებით შემუშავებული რჩევა, რომელიც გულისხმობდა პროგრამის სტრუქტურაში საბაკალავრო ნაშრომის სავალდებულო ან არჩევით სასწავლო კურსად დამატებას. შესაბამისად, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს განმარტებისკენ თუ რამ განაპირობა აღნიშნული რჩევის განსაზღვრა.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ 2.2. ქვესტანდარტთან მიმართებით შემუშავებული რჩევა გარკვეული საგნების წინაპირობების დაზუსტებასთან დაკავშირებით საკმაოდ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა თანმიმდევრული სწავლებისთვის. საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რატომ განისაზღვრა აღნიშნული საკითხი რჩევის და არა რეკომენდაციის სახით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ დესკრიპტორში მკაფიოდ არის გაწერილი კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის ან შრომის განხორციელება. შესაძლებელია პროგრამაში საბაკალავრო ნაშრომი არ იყოს გათვალისწინებული, მაგრამ კვლევითი უნარების განმავითარებელი კურსები და საკითხები მნიშვნელოვანია იყოს გათვალისწინებული. შესაბამისად, ამ კუთხით საბჭოს წევრმა მოუწოდა ექპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს განმარტებსიკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გვანცა აბდალაძემ განმარტა, რომ კურიკულუმში ნამდვილად არ არის გათვალისწინებული კვლევის კომპონენტის მეთოდები. გვანცა აბდალაძემ დამატებით აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა იხილა ანგარიშები და დარწმუნდნენ რომ აღნიშნული აკმაყოფილებფა იმ მინიმუმს, რომელიც საჭირო იყო მეექვსე საფეხურზე გასვლისთვის.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ რჩევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საბაკალავრო დონეზე კვლევითი კომპონენტები არ არის სავალდებულო. მნიშნელოვანია რომ მოცემულ პროგრამას აქცენტები აღებული აქვს პრაქტიკაზე, სწორედ ამიტომ სწავლების ამ დონეზე განსაკუთრებული აქცენტები არ არის გაკეთებული საბაკალავრო ნაშრომსა და კვლევით კომპონენტზე. სწორედ ამიტომ საბაკალავრო ნაშრომთან მიმართებით შემუშავებული საკითხი განისაზღვრა რჩევის სახით.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა 2.2. რჩევასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ რჩევაში მოცემული სასწავლო კურსები არ წარმოადგენდა აუცილებლობას, უნივერსიტეტი შესაძლებელია დაფიქრდეს და შემდგომ გაითვალისწინოს ან არ გაითვალისწინოს აღნიშნული რჩევა. რეკომენდაციაშიც არის მოცემული მსგავსი საკითხი და აღნიშნული შესაბამისად წარმოადგენს აუცილებლობას.

ესპერტმა ასევე განმარტა, რომ პროგრამის სტრუქტურაში აკადემიურ წერა მოცემულია სავალდებულო სასწავლო კურსებში გარკვეული ელემენტების სახით. თუმცა როდესაც, ამა თუ იმ პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია საბაკალავრო ნაშრომი, იქ აქცენტი განსხვავებულად კეთდება ისეთ სასწავლო კურსებზე, მაგალითად როგორიც არის აკადემური წერა ან კვლევის მეთოდები, რადგანაც აღნიშნული ბმაშია კვლევით პროექტთან. მნიშვნელოვანია, რომ საკმაოდ ბევრ სილაბუსში კვლევის მეთოდების კუთხით არა ერთი საკითხი არის განსაზღვრული, გარდა ამისა მოცემულია შეფასების მეთოდებშიც და ინტერვიუების დროსაც არა ერთხელ დადასტურდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აკადემიური წერა პროგრამაში გათვალისწინებულია როგორც სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი სასწავლო კურსებში ასევე დამოუკიდებლად. გარდა ამისა, სასწავლო კურსების უმეტსობაში გათვალისწინებულია რეფერატი, რომ კვლევის უნარები იმ დონეზე განუვითარდეთ სტუდენტებს, რაც სჭირდება ბაკალავრიატის კვალიფიკაციის მისაღებად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:50

დასრულების დრო: 15:52

15:49- საბჭოს სხდომას შეუერთდა თამარ ჩხეიძე

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, კერძოდ: 5.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გაიზარდოს პროგრამის არჩევითი ნაწილის მოცულობა და გამრავალფეროვნდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი სფეროს სფეციფიკისა და სწავლების დონის შესაბამისი სასწავლო კურსებით;
2. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურაში დარჩეს მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების minor პროგრამა;
3. რეკომენდებულია სასწავლო პროგრამაში გაძლიერდეს ეკონომიკის საკითხების სწავლება;
4.რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“ გადანაცვლდეს VII ან VIII სემესტრში;
5. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „საერთაშორისო ურთიერთობების შესავალი“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსისთვის „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“; სასწავლო კურსი „პოლიტიკის მეცნიერების შესავალი“ წინაპირობად განისაზღვროს სასწავლო კურსებისთვის: „პოლიტიკური იდეოლოგიები“, „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“, „საქართველოს პოლიტიკური სისტემა“; სასწავლო კურსს „სსრკ დაშლა და პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკური პრობლემები“ მოეხსნას არსებული წინაპირობა („პოლიტიკური იდეოლოგიები“) და წინაპირობად განესაზღვროს „შესავალი შედარებით პოლიტიკაში;
6. რეკომენდებულია, რიგი სასწავლო კურსების („საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები“; „საერთაშორისო ურთიერთობები და საგარეო პოლიტიკა“; „საერთაშორისო კონფლიქტები და მსოფლიო წესრიგი“; „მიგრაცია და საერთაშორისო ურთიერთობები“; „პოლიტიკური კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული“, „შესავალი შედარებით პოლიტიკაში“;„პროფესიული პრაქტიკა“.) შინაარსი შესაბამისობასი მოვიდეს კურსის სახელწოდებებთან;
7. რეკომენდებულია, გადაიხედოს, განახლდეს და მიეთითოს პროგრამის სილაბუსებში სავალდებულო ლიტერატურა (მათ შორის განსახილველ თემებთან მიმართებით);
8. რეკომენდებულია, მემორანდუმებში დაზუსტდეს სტუდენტების ის რაოდენობა, რა რაოდენობის სტუდენტებისთვისაც შეუძლია პარტნიორ ორგანიზაციებს პრაქტიკის უზრუნველყოფა, ასევე, პრაქტიკის სავარაუდო ხანგრძლივობა და დანიშნულება;
9. რეკომენდებულია, პროგრამის სასწავლო კურსებში სწავლება-სწავლის მეთოდების ნაკლები უნიფიცირება სასწავლო კურსის შინაარსისა და შეფასების სისტემის გათვალისწინებით;
10. რეკომენდებულია, უსდ-მ მოახდინოს პროგრამაში ჩართული პერსონალისთვის ტრენინგების ჩატარება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენების შესახებ სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით;
11. რეკომენდებულია, შეფასების რუბრიკები და მეთოდები გახდეს არაუნიფიცირებული თითოეული სასწავლო კურსისთვის სასწავლო კურსის შინაარსისა და მიზნებისა და შედეგების გათვალისწინებით;
12. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

13. სასურველია, პროგრამის მიზნების ენობრივი კომპეტენციის ნაწილში უცხო ენა დაზუსტდეს როგორც ინგლისური ენა და თავისუფალი კომუნიკაცია დაზუსტდეს როგორც დარგობრივი კომუნიკაცია;
14. სასურველია, უსდ-მ სააკრედიტაციო დოკუმენტაცია წარმოადგინოს ტექნიკური ხარვეზების გარეშე და მიზნების საბოლოო ვერსია ერთი და იგივე ფორმულირებით იყოს წარმოდგენილი კურიკულუმსა და თვითშეფასების დოკუმენტში;
15. სასურველია, პროგრამის სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასებაში ჩართულობის ანალიზისთვის ჩატარდეს დამოუკიდებელი კვლევა პროგრამის სტუდენტებისთვის;

16. სასურველია, სასწავლო კურსი „საერთაშორისო საჯარო სამართალი“ განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსებისთვისთვის „საერთაშორისო ორგანიზაციები“ და „კორუფცია და ტრანსნაციონალური დანაშაული“, ხოლო სასწავლო კურსი “საერთაშორისო ორგანიზაციები“ განისაზღვროს წინაპირობად სასწავლო კურსისთვის „ევროპული ინტეგრაცია“;
17. სასურველია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს საბაკალავრო ნაშრომი სავალდებულო ან არჩევით სასწავლო კურსად;
18. სასურველია, გამოცდებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების გაზრდა;
19. სასურველია პროგრამას დაემატოს კვლევითი უნარების განმავითარებელი კურსი;
20. სასურველია, სავალდებულო სასწავლო კომპონენტებში სწავლების მეთოდების და შეფასების სისტემის გადახალისებით გაძლიერდეს ისეთი პრაქტიკული უნარების განვითარება, როგორიცაა: ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების, დამუშავების, ჯგუფური მუშაობის, საჯარო გამოსვლის, ანალიტიკური აზროვნების და ანგარიშის წერის უნარები;
21. სასურველია, უნივერსიტეტის მხრიდან დამატებითი მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტებში მოტივაციის ზრდას, რათა უფრო აქტიურად ჩაერთონ სტუდენტურ კონფერენციებსა და გაცვლით პროექტებში;
22. სასურველია, სტუდენტებს „პროფესიული პრაქტიკის“ გავლის შესაძლებლობა მიეცეთ ქუთაისის მერიის გარდა სხვა სახელმწიფო დაწესებულებებში და არასამთავრობო ორგანიზაციებში, სადაც ერთი მხრივ, შესაძლებელი იქნება სტუდენტების კვლევებში ჩართვა, ხოლო მეორე მხრივ, გაძლიერდება დარგობრივ პრაქტიკულ საქმიანობაში სტუდენტების მონაწილეობა;
23. სასურველია, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი წარმოდგენილი იყოს უფრო თვალსაჩინოდ, სადაც გამოჩნდება ამ მიმართულებით წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა პროექტების ფინანსური ხარჯი;
24. სასურველია, პროგრამას ჰქონდეს გარე შეფასება იმ ევროპული უნივერსიტეტებიდან, რომლებთანაც უსდ-ს დამყარებული აქვს პარტნიორული ურთიერთობები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის

სახელმწიფო უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მინიჭა აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეორე საკითხი : სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომატიისა და საერთაშორისო პოლოტიკის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	თამარ მეფის #594600, .ქუთაისი
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, გვანცა აბდალაძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი მიმდინარეობდა 2 დღის მანძილზე ონლაინ ფორმატში (ZOOM) შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით. აკრედიტაციის ჯგუფმა განახორციელა ინტერვიუები უსდ და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, უსდ და ფაკულტეტის ხარისხის მართვის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან (რომელიც ამავე დროს განიხილება სამაგისტრო ნაშრომების მომავალ ხელმძღვანელებად), მომიჯნავე პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ონლაინ ვიზიტის დროს განხორციელდა ინფრასტრუქტურის დათვალიერება, საბიბლიოთეკო რესურსებისა და პერსონალისა და სტუდენტების სერვისების განხორციელებული საუნივერსიტეტო პლატფორმების გაცნობა. ვიზიტმა ჩაიარა კეთილგანწყობილ, კოლეგიალურ გარემოში.

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმში პროგრამის შედეგების რეფორმულირება იმ ასპექტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის სტრუქტურით და დაზუსტებულია პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში;
- რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე) და დაკონკრეტდეს, რა შემთხვევაში გათავისუფლდება პროგრამაზე ჩაბარების მსურველი ინგლისური ენის გამოცდისგან (კონკრეტული სერთიფიკატების მითითება და სხვ. პირობები);
- რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაში სავალდებულო პრაქტიკის კრედიტები და განისაზღვროს არაუმეტეს 5 კრედიტით;
- რეკომენდებულია, პროგრამის სავალდებულო ნაწილს დაემატოს დარგობრივი ინგლისური ენა, ხოლო არსებული ინგლისური ენის სასწავლო კურსები პროგრამის არჩევით ნაწილში (ინგლისური ენა 1, ინგლისური ენა 2, ინგლისური ენა 3) მოიხსნას პროგრამიდან ან ჩანაცვლდეს სხვა უცხო ენით;
- რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი „საერთაშორისო პოლიტიკა“. რეკომენდებულია, შეიცვალოს სასწავლო კურსების „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“ და „რეგიონული უსაფრთხოება და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“ თანმიმდევრობა პროგრამის სტრუქტურაში და პირველი განისაზღვროს მეორე სასწავლო კურსის წინაპირობად;
- რეკომენდებულია, დაიწეროს ახალი სილაბუსები სასწავლო კურსებისთვის „საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თანამედროვე გამოწვევები და მიდგომები“, „საერთაშორისო ურთიერთობათა იდეოლოგიები და თანამედროვე მსოფლიო“, „საგარეო პოლიტიკის ანალიზი“, „ქართული დიპლომატია და მისი ანალიზი“, „პოსტსაბჭოთა პოლიტიკა“ სფეროს სპეციფიკის და სწავლების დონის გათვალისწინებით;
- რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში გამრავალფეროვნდეს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა ახალი გამოცემებით, ინგლისურენოვანი ლიტერატურით, სამეცნიერო სტატიების გამოყენებით, პოლიტიკის დოკუმენტების გამოყენებით, სასარგებლო ბმულების მითითებით (მაგ. პოლიტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების ვებგვერდები, საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები, ვებგვერდები სადაც განთავსებულია სხვადასხვა კანონმდებლობა, კვლევითი ორგანიზაციების ვებგვერდები, მედია აუთლეტები და სხვ.) და სილაბუსის თითოეულ თემას მიეთითოს სავალდებულო ლიტერატურა კვირების მიხედვით და თემების შესაბამისად;
- რეკომენდებულია, გაიზარდოს სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თანამედროვე გამოწვევები და მიდგომები“ საკრედიტო მოცულობა 6 კრედიტამდე;
- რეკომენდებულია, პროგრამის პრაქტიკული უნარების განმავითარებელ სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტების პრაქტიკულ დავალებებზე დაფუძნება.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა კორძაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს პროგრამის დეტალურად განხილვისთვის. დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია მათი მიგნებები და რეკომენდაცია/რჩევები, რომელთა გათვალისწინება მიზანეწონილია იმისათვის, რომ პროგრამამ სრულად დააკმაყოფილოს მის მიმართ მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტები. სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის ექსპერტების ყველა რეკომენდაცია.

პროგრამის ხელმძღვანელმა, დავით გეგეჩკორმა ისაუბრა რეკომენდაციებზე და პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ სტუდენტის დაშვების წინაპირობაა: - ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; - საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება; - შიდასაუნივერსიტო გამოცდების ჩაბარება. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა შედგება ორი კომპონენეტისაგან: 1. გამოცდა სპეციალობაში, რომელიც ითვალისწინებს აპლიკანტისთვის საერთაშორისო ურთიერთობის და პოლიტიკის შესახებ ფართო ცოდნის ფლობის დონის შემოწმებას (გამოცდა ტარდება წერითი ფორმით, ბილეთი მოიცავს ორ თეორიულ საკითხს და დახურულ ტესტებს. გამოცდის ჩატარების და შეფასების კრიტერიუმები რეგულირდება აწსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესით); 2. გამოცდა ინგლისურ ენაში, რომელიც ჩატარდება ტესტირებით. ინგლისური ენის ტესტირებისაგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს TOEFL (PBT, CBT, IBT) , IELTS, Cambridge exam FCE . ასევე, თავისუფლდება კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე აქვს გავლილი ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის კურსი. გარდა აღნიშნულისა, პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობის წესით, რასაც არეგულირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის ბრძანება No10/ნ - „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“] და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული „სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭებისა და მიღებული განათლების აღიარების წესი“.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დავით გეგეჩკორმა აღნიშნა, რომ პროგრამაში სავალდებული პრაქტიკის კრედიტები განისაზღვრა 5 კრედიტის ოდენობით და ცვლილება აისახა სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურაში.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში არჩევითი სასწავლო კურსების სახით წარმოდგენილია მეორე უცხო ენა (ინგლისური, გერმანული, რუსული და ფრანგული ენები). სასწავლო კურსები გათვალისწინებულია იმ სტუდენტებისთვის, რომლებსაც სურთ ენის კომპეტენციის გაღრმავება შეთავაზებული მეორე უცხო ენიდან რომელიმეში.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, დავით გეგეჩკორმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო პროგრამის შემადგენელი კომპონენტებია სასწავლო კურსები „საგარეო პოლიტიკის ანალიზი“, „პოლიტიკური ინსტიტუტები და პოლიტიკური პროცესი“, „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“, „პოლიტიკური ლიდერის როლი საერთაშორისო პოლიტიკაში“. აღნიშნული სასწავლო კურსების შინაარსით გათვალისწინებულია საერთაშორისო პოლიტიკის საკითხების განხილვა, ამიტომ ვთვლით, რომ რეკომენდაციით მითითებული სასწავლო კურსის „საერთაშორისო პოლიტიკა“ სავალდებულო სასწავლო კურსის სახით დამატება მიზანშეწონილი არ არის.

მე-5 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დავით გეგეჩკორმა აღნიშნა, რომ ინსტიტუციის მიერ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იყო და დამატებით განმარტა, რომ პროგრამის სტრუქტურაში მოხდა სასწავლო კურსების გადანაცვლება, კერძოდ, სასწავლო კურსი „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“ განხორციელდება მეორე სემესტრში და აღნიშნული კურსი იქნება მესამე სემესტრში სასწავლო კურსის „რეგიონული უსაფრთხოება და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“ წინაპირობა.

მე-6 რეკომენდაციასთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოყვანილი აღნიშნული რეკომენდაციისა და

შესაბამისი კომპონენტის აღწერის ნაწილში ასახული დეტალების გათვალისწინებით გადაიხედა მითითებულ სასწავლო კურსების სილაბუსები და გასწორდა სფეროს სპეციფიკისა და სწავლების დონის გათვალისწინებით.

რაც შეეხება მე-7 რეკომენდაციას, რეკომენდაცია გათვალისწინებულია. აწსუ-ში საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის განხორციელებისას ერთ-ერთი საკითხი სასწავლო კურსებში მითითებული ლიტერატურის გადახედვაა და საჭიროების შემთხვევაში მისი განახლება. სასწავლო კურსებში კონკრეტულ საკიხთებთან მიმართებით სასწავლო ლიტერატურა მუდმივად საჭიროებს განახლებას. აწსუ-ში მოქმედებს შემდეგი პრაქტიკა ლიტერატურასთან დაკავშირებით, სილაბუსის ავტორს შესაძლებლობა აქვს წარადგინოს სასურველი ცვლილებები სილაბუსში შესაბამისი არგუმენტაციით, მათ შორის ლიტერატურასთან დაკავშირებული, და ფაკულტეტის საბჭოზე განიხილვა/დამტკიცების შემდეგ ყოველი ცვლილება აისახება სილაბუსში. ფაკულტეტის ადმინისტრაცია აწსუ-ს ბიბლიოთეკის ადმინისტრაციასთან ერთად მუდმივად ახორციელებს სასწავლო კურსების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების განახლებას. აკრედიტაციის ექსპერტების მიერ ვიზიტის განხორციელებისას იყო დაფიქსირებული სასწავლო კურსების სილაბუსებში ყველა თემასთან მიმართებაში სავალდებული ლიტერატურის მითითება. პროგრამის აკადემიურმა პერსონალმა იმუშავა ამ მიმართულებით და აღნიშნული რეკომენდაცია შესრულებულია.

მე-8 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სამაგისტრო პროგრამის სახელწოდებაა „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“, ხოლო სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თანამედროვე გამოწვევები და მიდგომები“, ამიტომ ინსტიტუციის პოზიციაა, რომ სასწავლო კურსის მიზნის და სწავლის შედეგების მისაღწევად კურსის შინაარსის განხორციელებისთვის 4 კრედიტი (საკონტაქტო საათების მითითებული რაოდენობით -45 სთ) საკმარისია.

2.6 კომპონენტთან მიმართებით შემუშავებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დავით გეგეჩკორმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების სილაბუსების შექმნისას აკადემიური პერსონალი მოქმედებდა აკადემიური თავისუფლების ფარგლებში. შეფასების რუბრიკები და მეთოდები მათ მიერ განსაზღვრული იყოს კურსის მიზნების, შედეგებისა და შინაარსის გათვალისწინებით, სტუდენტის მიერ შესასრულებელი პრაქტიკული დავალებების საფუძველზე. საჭიროების შემთხვევაში უსდ უზრუნველყოფს ტრენინგების ჩატარებას აკადემიური პერსონალისთვის შეფასების მეთოდებთან და რუბრიკებთან დაკავშირებით.

ბიუჯეტთან დაკავშირებით დავით გეგეჩკორმა განმარტა, რომ აწსუ-მ უკვე შეიმუშავა ცვლილებების პროექტი პროგრამის ბიუჯეტის დოკუმენტში, რომლის თანახმად ბიუჯეტში ასახული იქნება ფინანსური ხარჯები ყველა ტიპის აქტივობისთვის, მათ შორის დაგეგმილი სხვადსხვა პროექტებისთვის. პროექტი წარმომადგენლობით საბჭოს განსახილველად წარედგინება 2021 წლის 21 დეკემბერს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის მიერ განსაზღვრულ მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმასა და აღწერით ნაწილში რეკომენდაციისგან განსხვავებული ინფორმაციაა, შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა ხომ არ ჰქონდა ადგილი ტექნიკურ შეცდომას, რადგან სასწავლო გეგმაში 10 კრდიტი განსაზღვრულია პრაქტიკისთვის, ხოლო 20 კრედიტი ნაშრომისთვის, მაგამ აღწერით ნაწილში

წერია ის, რასაც ითხოვენ ექსპერტები, 5 კრედიტი განისაზღვროს პრაქტიკისთვის და 30 კრედიტი ნაშრომისთვის.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ კვლევის მეთოდების კურსის ფარგლებში გათვალისწინებულია რაოდენობრივი კვლევა, თუმცა რეალურად კურსი რაოდენობრივი კვლევის ჩატარების უნარზე ვერ გავა. გარდა ამისა, არის თემები სადაც ქცევის მეთოდებზეა საუბარი, მაშინ როცა მეთოდების სწავლება არის უფრო მინიმალისტური. შესაბამისად გაუგებარია, სასწავლო კურსის ფარგლებში ისწავლება მეთოდები თუ მიდგომები. გარდა ამისა, შეფასების სისტემაში განსაზვრულია ისეთი საკითხები, როგორიცაა როლური თამაშები და ქეისის განხილვა. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებს, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს ნაშრომების შინაარსობრივი ნაწილის შეფასებისკენ. გარდა ამისა, აღსანიშნავია რომ ნაშრომების ფარგლებში გაფორმების ნაწილში არის გარკვეული ხარვეზები ციტირებებისა და ბმულების გამოყენების კუთხით.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა მოუწოდა ექსპერტთა აჯგუფს ესაუბრათ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ ადამიანურ რესურსზე. ბუნერბივი პროგრამა ახალია და შესაბამისად აღნიშნული კომპონენტი საკმაოდ მნიშვნელოვანია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ, გვანცა აბდალაძემ ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ამჟამად ხდება ახალი კადრების მოზიდვა, მათ შორის დოქტორანტების, რომლებიც გადიან სხვადასხვა ტრენინგებს საერთაშორისო ორგანიზაციებში, ასევე ხდება კადრების მოწვევა კონკრეტული სასწავლო კურსებისთვის. გარდა ამისა, დაწესებულებას ჰყავს არა ერთი კადრი შესაბამისი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებით. აქედან გამდინარე, ადამიანური რესურსის კუთხით არანაირი პრობლემა არ არსებობს პროგრამის განსახორციელებლად.

კრედიტების განაწილების საკითხთან დაკავშირებით გვანცა აბდალაძემ გაბმარტა, რომ ეს საკითხი ექსპერტებისთვისაც ბუნდოვანი იყო, რადგან გაუჭირდათ დაზუსტება ტექნიკურ ხარვეზი იყო თუ არა. სწორედ ამიტომ გაიცა აღნიშნული რეკომენდაცია, თუმცა აღსანიშნავია, ხარვეზი უკვე გამოსწორებულია ინსტიტუციის მიერ,.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა დავით გეგეჩკორმა, განმარტა, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომი განისაზღვრება 30 კრედიტით, ხოლო პრაქტიკა 5 კრედიტით.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამა არის ახალი, შესაბამისად სამაგისტრო ნაშრომების არის საჯარო მმართველობის პროგრამიდან. თუმცა ამის შემდეგ დაწესებულებამ შეიმუშავა ნაშრომების გაფორმების ახალი წესი. აქედან გამომდინარე, დაწესებულება სრულიად ითვალისწინებს ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებს საკითხთან დაკავშირებით.
რაც შეეხება კვლევის მეთოდების სასწავლო კურსში მოცემულ შეფასების მეთოდებს, მოცემულ შემთხვევაშიც სახეზე არის ტექნიკური ხარვეზი. თუმცა პროგრამა არის ახალი და პროგარამაზე მიღების შემდგომ უფრო დაკონკრეტებული იქნება მოცემული საკითხები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:50

დასრულების დრო: 15:52

15:49- საბჭოს სხდომას შეუერთდა თამარ ჩხეიძე

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა: სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება, კერძოდ: 2.5. კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება. 5.1 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი,
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, პროგრამის კურიკულუმში პროგრამის შედეგების რეფორმულირება იმ ასპექტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია პროგრამის სტრუქტურით და დაზუსტებულია პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტში;
2. რეკომენდებულია, პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვროს გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე) და დაკონკრეტდეს, რა შემთხვევაში გათავისუფლდება პროგრამაზე ჩაბარების მსურველი ინგლისური ენის გამოცდისგან (კონკრეტული სერთიფიკატების მითითება და სხვ. პირობები).;
3. რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაში სავალდებულო პრაქტიკის კრედიტები და განისაზღვროს არაუმეტეს 5 კრედიტით;
4. რეკომენდებულია, პროგრამა გაძლიერდეს დარგობრივი ინგლისური ენის საკითხებით;
5. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურას დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსი „საერთაშორისო პოლიტიკა“;
6. რეკომენდებულია, შეიცვალოს სასწავლო კურსების „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“ და „რეგიონული უსაფრთხოება და კონფლიქტები სამხრეთ კავკასიაში“ თანმიმდევრობა პროგრამის სტრუქტურაში და პირველი განისაზღვროს მეორე სასწავლო კურსის წინაპირობად;
7. რეკომენდებულია, სფეროს სპეციფიკისა და სწავლების დონის გათვალისწინებით გადაიხედოს და განახლდეს შემდეგი სასწავლო კურსების სილაბუსების შინაარსი: „საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თანამედროვე გამოწვევები და მიდგომები“, „საერთაშორისო ურთიერთობათა იდეოლოგიები და თანამედროვე მსოფლიო“, „საგარეო პოლიტიკის ანალიზი“, „ქართული დიპლომატია და მისი ანალიზი“, „პოსტსაბჭოთა პოლიტიკა“;
8. რეკომენდებულია, პროგრამის სილაბუსებში გამრავალფეროვნდეს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა ახალი გამოცემებით, ინგლისურენოვანი ლიტერატურით, სამეცნიერო სტატიების გამოყენებით, პოლიტიკის დოკუმენტების გამოყენებით, სასარგებლო ბმულების მითითებით (მაგ. პოლიტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების ვებგვერდები, საერთაშორისო ორგანიზაციების ვებგვერდები, ვებგვერდები სადაც

განთავსებულია სხვადასხვა კანონმდებლობა, კვლევითი ორგანიზაციების ვებგვერდები, მედია აუთლეტები და სხვ.) და სილაბუსის თითოეულ თემას მიეთითოს სავალდებულო ლიტერატურა კვირების მიხედვით და თემების შესაბამისად;
9. რეკომენდებულია, გაიზარდოს სასწავლო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თანამედროვე გამოწვევები და მიდგომები“ საკრედიტო მოცულობა 6 კრედიტამდე;
10. რეკომენდებულია, სასწავლო კურსი "კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში" ორიენტირებული იყოს სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარებაზე, მათ შორის შეფასების სისტემის გადახედვის გზით;
11. რეკომენდებულია, პროგრამის პრაქტიკული უნარების განმავითარებელ სასწავლო კურსებში შეფასების კომპონენტების პრაქტიკულ დავალებებზე დაფუძნება;
12. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად.

რჩევები:
13. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ასახულ იქნას პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები;
14. სასურველია, სპეციალობის გამოცდის წერითი ტესტი გამრავალფეროვნდეს სხვადასხვა ტიპის დავალებებით (მაგ. ესსე, წყაროს ანალიზი, ტექსტის ანალიზი და სხვ.);
15. სასურველია, გამრავალფეროვნდეს არჩევითი კურსების ჩამონათვალი სფეროს სპეციფიკისა და სწავლების დონის შესაბამისი სასწავლო კურსებით;
16. სასურველია, სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ პროგრამის სტრუქტურაში გადანაცვლდეს მეორე სემესტრში;
17. სასურველია, გამოცდებისთვის განკუთვნილი საკონტაქტო საათების გაზრდა;
18. სასურველია პროგრამის აკადემიური პერსონალის გაძლიერება დარგობრივი მიმართულებით;
19. სასურველია, აკადემიური/მოწვეული პერსონალის და სტუდენტების პროფესიული განვითარებისთვის გათვალისწინებული ბიუჯეტი წარმოდგენილი იყოს უფრო თვალსაჩინოდ, სადაც გამოჩნდება ამ მიმართულებით წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა პროექტების სავარაუდო ფინანსური ხარჯი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული

ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის "დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 4 წლის ვადით მინიჭა აკრედიტაცია 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

15:54- საბჭოს სხდომას შეუერთდა ნინო ჭალაგანიძე

მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სოციალური მეცნიერებები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	13. 12. 2012 გადაწყვეტილება N792
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სოციალური მეცნიერებები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სოციალური მეცნიერებების დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0319 - სოციალური და ქცევითი მეცნიერებები -არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	30
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას77, თბილისი, VI კორპუსი, 0175, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

დავით კაპანაძემ, ელიზბარ ელიზბარაშვილმა და ნინო იმნაძემ თვითაცილება განაცხადეს მესამე საკითხთან მიმართებით. საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ურთიერთობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო, ეკონომიკის, მედია-ტექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2021 წლის 22 ოქტომბერს განხორციელდა დისტანციურ ფორმატში. აკრედიტაციის ჯგუფის წევრები ვიზიტის ფარგლებში შეხვდნენ პროგრამაში ჩართულ სხვადასხვა მხარეს. მათ შორის ექსპერტთა ინტერვიუები წარიმართა ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, ფაჯულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისიხს უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. შეხვედრები განხორციელდა როგორც პროგრამის დოქტორანტებთან, ისე გარე დაინტერესებულ მხარეებთან, კერძოდ კურსდამთავრებულებსა და პოტენციურ დამსაქმებლებთან. აკრედიტაციის ვიზიტის ონალინ ფორმატიდან გამომდინარე სადოქტორო პროგრამის შესაბამისი მატერიალური რესურსის დათვალიერებაც მოხდა დისტანციურ რეჟიმში.

შეხვედრებზე ინტერვიურების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ საკითხებს, რომელიც დამატებით განმარტებებსა და დაზუსტებას მოითხოვდა ექსპერტებსი ხელთ არსებული პროგრამის ყველა დოკუმენტების გაცნობის მიუხედავად. გარდა ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციისა, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის ხელმძღანელებისგან ასევე გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტები მიგნებების დროს გაჩენილი საკითხების დასაზუტებლად.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია მიზნები ფორმულირებული იყოს ისე, რომ ჩანდეს კონკრეტულად რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;
- რეკომენდირებულია დასაქმების ბაზარზე არსებული მოთხოვნების კვლევისთვის გამართული მეთოდოლოგიის შემუშავება;
- რეკომენდირებულია 1, 3 და 4 სწავლის შედეგების გაზომვისა და შეფასებისთვის განისაზღვროს შესაბამისი მეთოდები და კრიტერიუმები სილაბუსებში;
- რეკომენდირებულია პროგრამის შედეგების შეფასების კვლევისთვის გამართული მეთოდოლოგიის შემუშავება;
- არაკლასიფიცირებული კვალიფიკაციის ხასიათიდან გამომდინარე რეკომენდირებულია პროგრამამ დოქტორანტს შესთავაზოს სოციალური მეცნიერებების ფართო სპექტრის მეთოდოლოგიების სასწავლო კურსები, თუნდაც არჩევითი კურსების სახით;
- რეკომენდირებულია პროგრამის კურიკულუმს დაემატოს თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამის კურსი და მონაცემთა ანალიზისა და დამუშავების ინტენსიური კურსები;
- რეკომენდირებულია, სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა მრავალფეროვანი გახდეს და სრულად დაფაროს სილაბუსით განსაზღვრული თემატიკა; სილაბუსების უნდა დაემატოს ახალი კვლევის შედეგებისა და სფეროს თანამედროვე მიღწევების ამსახველი ლიტერატურა;
- რეკომენდირებულია, რომ პროგრამაში ნათლად იყოს ჩამოყალიბებული კვლევის სფეროები, რომლის ფარგლებშიც პროგრამა შეძლებს, რომ სტუდენტების მოლოდნები დააკმაყოფილოს შესაბამისი სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელობის უზრუნველყოფით და პროგრამის კვლევის სფეროების შესახებ ინფორმაცია საჯარო იყოს დაინტერესებული პირებისთის;
- რეკომენდირებულია, აკადემიური პერსონალის (იგულისხმება ძირითადი და არა მოწვეული) და სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების შერჩევისას გათვალისწინებული იქნას სოციალური მეცნიერებების მიმართულებით კვლევითი გამოცდილება და საერთაშორისო პუბლიკაციები სამეცნიერი ჟურნალებში;
- პროგრამის მიერ დასახელებული მე-5 შედეგის სრულყოფილად მიღწევის მიზნით რეკომენდირებულია კურსის -,,სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ ფარგლებში სოციალური მეცნიერებების თეორიული კომპონენტის დამატება;
- კურსის-,,სოციალური კვლევის მეთოდები“ შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები რეკომენდირებულია გულისხმობდეს კვლევითი პროექტის დაგეგმვას და განხორციელებას დოქტორანტის მიერ;
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში, სავალდებულო ლიტერატურაში გათვალისწინებული იქნას სფეროს აქტუალური მიღწევები და უახლესი კვლევები;
- რეკომენდირებულია სასწავლო კურსებში თემების დუბლირებისა და თემატური გადაფარვის თავიდან არიდების მიზნით კურსში-,,სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ არ

გამეორდეს სასწავლო კურსის -,,სოციალური კვლევის მეთოდები“ თემატიკას, როგორიცაა კვლევის მნიშვნელობა, მიზნები, მეთოდოლოგია, კვლევის მეთოდი, პროცესი, კვლევის ეთიკა;

- რეკომენდირებულია შედეგის სრულყოფილად მიღწევისთვის პროგრამის სასწავლო კურსებში/სემინარებში და სხვა აკადემიურ აქტივობებში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება;
- რეკომენდირებულია, თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება სოციალური კვლევის ორგანიზაციებთან და მსგავსი მიმართულების მქონე დაწესებულებებთან, რაც დოქტორანტს დაეხმარება სოციალური მეცნიერებების მიმართულებით პრაქტიკული/კვლევითი უნარების გამომუშავებაში, ასევე კვლევით პროექტებში აქტიურად ჩართვაში.
- რეკომენდირებულია პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევითი მეთოდების სწავლება ემპირიული კვლევის პრაქტიკული განხორციელებით;
- რეკომენდირებულია, ჩამოყალიბებული იქნას კოლოქვიუმის განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები;
- პროგრამაში დასახული მიზნების სრულყოფილად მიღწევის მიზნით რეკომენდირებულია კურსის ,,სოციალური კვლევის მეთოდები“ სილაბუსში პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოიცავდეს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას, რათა შესაბამისობაში იყოს კურსის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოს მათი მიღწევა;
- პროგრამის დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელების მიზნით რეკომენდირებულია, დოქტორანტებს სამეცნიერო ხელმძღვანელობა გაუწიოს აკადემიურმა პერსონალმა, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიეორ-კვლევითი გამოცდილება;
- რეკომენდირებულია, პროგრამამ გაითვალისწინოს სტუდენტთა კვლევითი ინტერესები და მიზანშეწონილია გონივრული თანაფარდობა იყოს დაცული დოქტორანტებსა და ისეთ სამეცნიერო გამოცდილების მქონე ხელმძღვანელებს შორის, რომელთაც გაჩნიათ სათანადო კომპეტენცია სოციალური მეცნიერებების კვლევის სფეროში;
- რეკომენდირებულია აკადემიური პერსონალის და სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელების შერჩევისას გათვალისიწინებული იქნას შესაბამისი მიმართულების კვლევითი გამოცდილება და საერთაშორისო პუბლიკაციები სამეცნიერო ჟურნალებში;
- რეკომენდირებულია, პროგრამას ახორციელებდეს სოციალურ მეცნიერებებში კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისიწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია;
- რეკომენდირებულია პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა, მათ შორის ბალანსი და დატვირთვა უზრუნველყოფდეს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის მდგრადობა;
- რეკომენდირებულია, უსდ-მ გაითვალისწინოს აკადემიური პერსონალის კვლევების ინტერნაციონალიზაციის მოთხოვნა; პროგრამამ დააკმაყოფილოს საერთაშორისო პუბლიკაციების ფინანსური მხარდაჭერა;
- რეკომენდირებულია ხარისხის სამსახური არ შემოიფარგლოს მხოლოდ ფორმალური მექანიზმების არსებობით და უფრო გააქტიურდეს ურთიერთანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებლ აკადემიურ პერსონალთან, რათა რეალურად იყოს ორიენტირებული პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებაზე და პროგრამის განვითარების გზების დასახვაზე;

- რეკომენდირებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავოს პროგრამაზე დაკვირვების სათანადო კრიტერიუმები და ინდიკატორები, რათა მონიტორინგის ფარგლებში მეტად იყოს გამახვილებული ყურადღება პროგრამის მახასიათებლებზე. განსაკუთრებით პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით, სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელებისა და განმახორციელებელ პერსონალის შესაბამისობის მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამის მიზნებში ლოგიკურად იგულისხმება ის ცოდნა, უნარები და კომპეტენციები, რომლებიც ამ პროგრამის კურსდამთავრებულებს უნდა ჰქონდეთ, ამდენად პროგრამის მიზნების ფორმულირებისას ამ ყველაფრის დეტალური აღწერა დიდ აუცილებლობას არ უნდა წარმოადგენდეს. ასევე გასათვალისიწინებელია საქართველოსა და უცხოეთში მოქმედი ანალოგიური პროგრამების მაგალითი, რომლებიც სადოქტორო პროგრამის მიზნის ჩამოყალიბებისას, ლაკონურობით ხასიათდებიან, რასაც სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამაც ითვალისწინებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ ისაუბრა ასვე ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების ინტერნაციონალიზაციის ერთიანი სტრატეგიის დოკუმენტი. მიმდინარე პრაქტიკით, ყველა საგანმანათლებლო პროგრამა და მათ შორის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამაც ითვალისწინებს საუნივერსიტეტო სტრატეგიას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რეკომენდაციის პირველი ნაწილი სრულიად მისაღებია და უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე დაწყებულია მუშაობა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის შემუშავების კუთხით. აღნიშნულის დასტურია 2021 წლის 08 ნოემბერს, „საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ“ დებულების ახალი რედაქციით დამტკიცება აკადემიური საბჭოზე #01-05-04/163 დადგენილებით, სადაც მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი პირდაპირ პასუხობს რეკომენდაციას. რაც შეეხება ამავე რეკომენდაციის მეორე ნაწილს, რომელიც გულისხმობს ინტერნაციონალიზაციის აქტივობებით დოქტორანტის სამეცნიერო მუშაობის დატვირთვას, ინსტიტუცია არ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს მიერ შემუშავებულ დასკვნას, იმ თვალსაზრისით, რომ ეს მიმართულება პრობლემურია უნივერსიტეტში და საჭიროებს „რეკომენდაციის“ სტატუსის მითითებას, თუნდაც ამ პროგრამისთვის. უნივერსიტეტში შექმნილია ყველა პირობა და გამართულად მოქმედებს სათანადო ადმინისტრაციული და დამხმარე სერვისები იმისთვის, რომ ხელშეწყობილი იყოს დოქტორანტთა სამეცნიერო საქმიანობაში ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განმარტა, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის განვითარების მიზნით, არაერთი დამსაქმებელი იქნა გამოკითხული და შრომის ბაზრის მოთხოვნები მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო რედაქციაში. მიუხედავად ამისა, სრულად იზიარებს ინსტიტუცია რეკომენდაციას და მეტიც, რეკომენდაციის მიღებამდე, უნივერსიტეტს თავად ჰქონდა იდენტიფიცირებული დასაქმების ბაზარზე არსებული მოთხოვნების კვლევის მეთოდოლოგიის გაძლიერების საჭიროება.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, უნივერსიტეტი არ იზიარებს რეკომენდაციის შინაარს და ამ რეკომენდაციის საფუძველს, რაც მოცემულია დასკვნის 1.2. კომპონენტის აღწერილობით ნაწილში. დავით მახვილაძემ დამატებით აღნიშნა, რომ ინსტიტუცია დაუშვებლად მიიჩნევს, ამ მიგნების „რეკომენდაციის“ სტატუსით მითითებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს შესაბამისი კომპონენტის არამართლზომიერ შეფასებას. საგანმანათლებლო პროგრამის 1, 3 და 4 სწავლის შედეგები, შესაბამისი სიმძლავრით მიიღწევა კონკრეტული სასწავლო კურსებით და კვლევითი კომპონენტით. ამ შედეგებზე გამსვლელ თითოეულ სასწავლო კურსისთვის განსაზღვრულია შესაბამისი, ოპტიმალური შემადგენელი ყველა თვალსაზრისით, მათ შორის შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. სიცხადისთვის, წინამდებარე რეკომენდაციაში მაგალითად მოყვანილი „სოციალური კვლევის მეთოდების“ კურსი ითვალისიწინებს ინდივიდუალურ კვლევას, რაც ასახულია საგნის სასწავლო კურსის პროგრამაში (სილაბუსში). ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივიჩნევთ, რომ ექსპერტთა ჯგუფის ნებისმიერი მიგნება მოცემულ საკითხზე, შესაძლებელია ატარებდეს მხოლოდ „რჩევის“ სტატუსს, რომლის შინაარსობრივად გაზიარების და სასარგებლოდ მიჩნევის შემთხვევაში, უნივერსიტეტი დაუყოვნებლივ მოახდენს რეაგირებას.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ 1.2. კომპონენტის ფარგლებში გაცემული ზოგადი შინაარსის მატარებელი რეკომენდაციის საფუძველი, სამწუხაროდ, არ არის მოცემული დასკვნის აღწერილობით ნაწილში. შესაბამისად, უნივერსიტეტი, შინაარსობრივი თვალსაზრისით, მოკლებულია შესაძლებლობას დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია და წარმოადგინოს კონკრეტულ მსჯელობაზე/ლოგიკაზე ორიენტირებული არგუმენტაცია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინსტიტუციას საშუალება ეძლევა წარმოადგინოს ფორმალური პოზიცია. დავით მახვილაძემ დამატებით აღნიშანა, რომ პროგრამის შედეგების შეფასების კვლევის მეთოდოლოგია ოფიციალურად მოქმედებს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში და ამ მიმართულებაზე პასუხისმგებელია მათ შორის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამის შედეგების შეფასების კვლევის მეთოდოლოგია გამართულია, აპრობირებულია და წარმატებით ხორციელდება. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული №1 რეკომენდაცია, სტანდარტის „1.1 კომპონენტის“ და „1.2 კომპონენტის“ მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების ჭრილში, ამ კონკრეტული პროგრამისთვის, არ წარმოადგენს სტანდარტის 1. 2. 3. მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელ, „რეკომენდაციის“ სტატუსის მქონე მითითებას.

რაც შეეხება რეკომენდაციებს 2.2. კომპონენტთან მიმართებით, გასათვალისწინებელია, დოქტორანტურის პროგრამების სპეციფიკა, სადაც ძირითადი აქცენტი კეთდება კვლევით კომპონენტზე, ხოლო სასწავლო კომპონენტი ემსახურება სწორედ მკვლევარის მხარდაჭერას. ამიტომ, დოქტორანტის ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამაში მაქსიმალურად არის გაძლიერებული კვლევითი კომპონენტის ხვედრითი წილი, მათ შორის გამოყოფილი დროის თვალსაზრისით. საგანმანათლებლო პროგრამას აქვს კონკრეტული დაშვების წინაპირობა, რომლის თანახმად, პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს პირს, რომელიც ფლობს მაგისტრის ხარისხს ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს (სწავლის სფეროების კლასიფიკატორის ფართო სფეროს 03 სოციალური მეცნიერებები, ჟურნალისტიკა და ინფორმაცია). პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს, ასევე მოეთხოვება, წარმოადგინოს კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება. აღნიშნული უზრუნველყოფს იმას, რომ დოქტორანტი პროგრამაზე ჩაირიცხოს სოციალური მეცნიერებების დარგის ცოდნით. რაც შეეხება კომპიუტერული პროგრამების კურიკულუმში დამატების საკითხს, მაგალითად, თვისებრივი კვლევების განხორციელებისათვის მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამა NVivo, როგორც სასწავლო კურსი, არ არის ჩართული საქართველოში არცერთ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში. თუმცა სასწავლო კურსის ფარგლებში,

ინფორმაციულობის თვალსაზრისით, სტუდენტებს ეძლევათ ამ პროგრამის, მისი დანიშნულებისა და ფუნქციების შესახებ ინფორმაცია (ვიდეო რესურსები და სხვ.). პროგრამის აკადემიური პერსონალის და სამეცნიერო ხელმძღვანელების შერჩევისას გათვალისწინებულია სოციალური მეცნიერებების მიმართულებით კვლევითი გამოცდილება და საერთაშორისო პუბლიკაციები სამეცნიერო ჟურნალებში.

მე-7 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დავით მახვილაძემ განმარტა, რომ ინსტიტუცია არ ეთანხმებოდა ჩანაწერს სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის გამრავალფეროვნებასთან დაკავშირებით, იმ მიზნით, რომ სრულად დაფაროს სილაბუსით განსაზღვრული თემატიკა. სილაბუსებში მითითებული ლიტერატურით სრულად არის დაფარული სილაბუსის თემატიკა. რაც შეეხება ლიტერატურის მუდმივად განახლება/გაძლიერების პროცესს, უნივერსიტეტი მუდმივად მოწადინებულია და ხელშეწყობილია ყველა კომპეტენტური სტრუქტურული ერთეულის მიერ.

მე-8 რეკომენდაციას დაკავშირებით დავით მახვილაძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტს, ფაკულტეტს და აკადემიურ დეპარტამენტს წინამებარე პროგრამის ფარგლებში, ნათლად აქვს ჩამოყალიბებული საკვლევი სფეროები „სოციალური მეცნიერებების“ მიმართულებით. ინსტიტუცია არ ეთანხმება რეკომენდაციას და საკითხის გაშუქებას სამეცნიერო ხელმძღვანელებით უზრუნველყოფის მიზნებისათვის, დოქტორანტთა მოლოდინების დაკმაყოფილების ჭრილში. არც ერთ სხვა მოქმედ და არც წინამდებარე სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, უნივერსიტეტს არ შექმნია პრობლემა დოქტორანტის შესაბამისი სამეცნიერო ხელმძღვანელით უზრუნველყოფის პროცესში. ამისთვის, უნივერსიტეტში მოქმედებს კონკურსის წესით არჩეული მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალის მრავალრიცხოვანი გუნდი, საქართველოს პირობებისთვის პროფესორთა მოწვევის უნიკალური სისტემა და მოწვეული სპეციალისტების, მათ შორის, სამეცნიერო ხელმძღვანელების გამორჩეული პრაქტიკა.

მე-10 რეკომენდაციასთან დაკავშირებით პროგრამის ხელმძღვანელმა, იაშა კუტუბიძემ განმარტა, რომ სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) “სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ მიზანი არ არის სოციალური მეცნიერებების თეორიის სწავლება. კურსის მიზანია, დოქტორანტის მიერ საკუთარი ორიგინალური აზრის არგუმენტირებული გადმოცემა, ინფორმაციის მოძიება, ანალიზი, კვლევითი სამეცნიერო ტექსტის წერა, წერის დაგეგმვა, შესრულებისა და ფორმატირების ტექნიკის ათვისება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ციტირება, შენიშვნა, სქოლიო, ბიბლიოგრაფია, ილუსტრაციები და სხვა ვიზუალური საშუალებები), მეცნიერული ნაშრომის პრეზენტაციის და საჯარო პაექრობის ფორმით საკუთარი თვალსაზრისის დაცვის სტრატეგიების სწავლება; სამეცნიერო კვლევითი პროექტის არსის, მიზნისა და დაფინანსების მოპოვების სწავლება. პროგრამის მეხუთე შედეგია: „ამზადებს ჩატარებული კვლევის საფუძველზე, საკვლევი თემატიკის შესაბამის სასწავლო-მეთოდურ მასალებს და ახდენს მათ სათანადო ინტერპრეტაციასა და პრეზენტაციას“ შესაბამისად, პროგრამის მიერ დასახული მე-5 შედეგი სრულყოფილად მიიღწევა.

მნიშვნელოვანია დაწესებულების პოზიცია მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ სასწავლო კურსის „სოციალური კვლევის მეთოდები“ - შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ითვალისწინებს კვლევითი პროექტის შესრულებას და შესაბამისად, სილაბუსში დეტალურადაა წარმოდგენილი, თუმცა, პროექტის დაგეგმვას თავად განსაზღვრავს დოქტორანტი, სწავლების წინა საფეხურების გამოცდილებით. განხორციელების და წარდგენის პერიოდი ასევე სასწავლო კურსის პროგრამაშია (სილაბუსშია) მოცემული.

რაც შეეხება მე-11 რეკომენდაციას, სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში), სავალდებულო ლიტერატურაში გათვალისწინებულია ბოლო 5 წლის სფეროს აქტუალური მიღწევები და უახლეს კვლევები. აქვე დავძენთ, რომ სახელმძღვანელოების განახლება მუდმივი პროცესია და მომავალშიც გაგრძელდება, ხოლო სასწავლო კურსებში თემებში "სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა" - "სოციალური კვლევის მეთოდები", არ მეორდება არცერთი თემა, მათ შორის ისეთ თემატიკაშიც, როგორებიცაა კვლევის მნიშვნელობა, მიზნები, მეთოდოლოგია; კვლევის მეთოდი, პროცესი, კვლევის ეთიკა, გადაფარვა არ ხდება. სწავლება მიმდინარეობს სრულიად განსხვავებულ ჭრილში.

მნიშვნელოვანია ასევე რეკომენდაციების 2.3 კომპონენტთან მიმართებით, კერძოდ 2. 3. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში), სავალდებულო ლიტერატურაში გათვალისწინებულია ბოლო 5 წლის სფეროს აქტუალური მიღწევები და უახლეს კვლევები. სახელმძღვანელოების განახლება მუდმივი პროცესია და მომავალშიც გაგრძელდება. სასწავლო კურსებში თემებში "სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა" - "სოციალური კვლევის მეთოდები", არ მეორდება არცერთი თემა, მათ შორის ისეთ თემატიკაშიც, როგორებიცაა კვლევის მნიშვნელობა, მიზნები, მეთოდოლოგია; კვლევის მეთოდი, პროცესი, კვლევის ეთიკა, გადაფარვა არ ხდება. სწავლება მიმდინარეობს სრულიად განსხვავებულ ჭრილში. 2 სასწავლო კურსი „სოციალური კვლევის მეთოდები" ითვალისწინებს არამარტო პრაქტიკულ კომპონენტებს, ასევე ლაბორატორიულ სამუშაოებსაც. უნივერსიტეტის ბაზაზე გვაქვს წვდომა მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის კომპიუტერულ პროგრამა SPSS-ზე. დოქტორანტებს პროგრამის დანიშნულებასა და ფუნქციებზე აქვთ სრული ინფორმაცია და მათ უმრავლესობას - ამ პროგრამების გამოყენების გამოცდილებაც. შესაბამისად, სწავლების პერიოდშიც, საჭიროებიდან გამომდინარე, იყენებენ კიდეც. სადოქტორო პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია „ნდობასთან", რომელიც არის არასამთავრობო სამეცნიერო-პრაქტიკული ორგანიზაცია და 1990 წლიდან მუშაობს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ფსიქოსოციალური დახმარების სფეროში. საქართველოს ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია „ნდობა" ნამდვილად დაეხმარება დოქტორანტს სოციალური მეცნიერებების მიმართულებით პრაქტიკული უნარების გამომუშავებაში და სხვადასხვა პროექტებში, მათ შორის კვლევით პროექტებში აქტიურად ჩართვაში. გარდა ამისა აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოდგენილი პროგრამის დოქტორანტები დასაქმებულია სხვადასხვა ორგანიზაციებში, სადაც ისინი იღებენ შესაბამის პრაქტიკულ თუ კვლევით გამოცდილებას.

რაც შეეხება მე-15 რეკომენდაციას, კურსი „სოციალური კვლევის მეთოდები" ითვალისწინებს სასწავლო კურსის სალექციო და სასემინარო/პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების თემებიდან, შინაარსიდან და ცოდნის შეფასების მეთოდებიდან გამომდინარე ემპირიული კვლევების პრაქტიკულ განხორციელებას.

2.6 კომპონენტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის დროს. სასწავლო კურსის პროგრამაში (სილაბუსში) „სოციალური კვლევის მეთოდები" - სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემაში წარმოდგენილი შეფასების მეთოდი მოიცავს თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას/ემპირიულ კვლევას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მე-2 სტანდარტის მოთხოვნათა სრულად დაკმაყოფილების ჭრილში, არ წარმოადგ ენს სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის აუცილებელ მითითებებს.

რაც შეეხება მე-19 რეკომენდაციას, საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სამეცნიერო ხელმძღვანელებს აქვთ შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენცია და გამოცდილება.

გარდა ამისა, ამ მიმართულების გაძლიერებას ემსახურება თითოეული აკადემიური პერსონალის მიერ წერილობით გაფორმებული საკონტრაქტო ვალდებულება უნივერსიტეტთან, რომლის მიხედვით აკადემიური თანამდებობის პირი ვალდებულია კონკრეტული დროის მონაკვეთი დააკმაყოფილოს ერთმნიშვნელოვნად გაწერილი ვალდებულებები რაოდენობრივი და ხარისხობრივი თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანია ასევე რეკომენდაცია 4.1 ქვესტანდარტთან მიმართებით, კერძოდ. უნდა აღინიშნოს, რომ ჩამოთვლილი დისერტაციები დაცულ იქნა პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტში, რომელშიც შედიოდა სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა. შესაბამისად, სტუ-ში ფაკულტეტის გაყოფის შემდეგ და ახალი ფაკულტეტების ჩამოყალიბების პირობებში, სოციალურ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამამ განიცადა მოდიფიცირება და გადაეცა ახლადჩამოყალიბებულ (სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტს. შეიცვალა პროგრამის ხელმძღვანელიც და როგორც წესი, დაცული დისერტაციები სრულად შეესაბამება სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფილს და ამ ახალ დეპარტამენტში არ დაცულა არც ერთი დისერტაცია, რომელიც შეუსაბამობაში მოდის აღნიშნული დეპარტამენტის და სოციალური მეცნიერებების პროგრამის პროფილთან. დავით მახვილაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტში ყოველთვის იმართებოდა და იმართება დებატები და დისკუსია სადისერტაციო თემების შერჩევის თაობაზე და როგორც წესი, ამ მსჯელობისას სადისერტაციო თემების შერჩევა ხდება წარმოდგენილ აზრთა შეჯერების საფუძველზე, ხოლო თემის სახელწოდების შერჩევა ხდება სოციალური მეცნიერებების პროგრამის პროფილის გათალისწინებით. სათანადოდ შეირჩევიან კვალიფიციური სამეცნიერო ხელმძღვანელები და სადოქტორო კოლეგიის წევრები. მათ გამოქვეყნებული აქვთ შრომები ფსიქოლოგიასა და სოციოლოგიაში, რაც სრულ შესაბამისობაშია დოქტორანტურის სათანადო მოთხოვნებთან. 2021 წლის აგვისტოს თვეში სტუ-ში ჩატარებულ კონკურსში გაიმარჯვეს და უკვე დეპარტამენტის წევრები არიან დეპარტამენტის კურსდამთვრებული დოქტორები (ფსიქოლოგიისა და სოციოლოგიის დარგში), რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი სოციალურ-მეცნიერებათა დეპარტამენტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების პროცესში.

რაც შეეხება 5.1 კომპონენტს, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ვერ გაიზიარებს და მეტიც, კატეგორიულად ეწინააღმდეგება რეკომენდაციის შინაარსს, რომლის მიხედვით წარმოდგენილია შეხედულება, თითქოს „ხარისხის სამსახური“ შემოიფარგლა მხოლოდ ფორმალური მექანიზმების არსებობით და საჭიროა უფრო გააქტიურდეს ხარსიხის უზრუნველყოფის სამსახურის ურთიერთთანამშრომლობა პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან. რეკომენდაციის შინაარსი, არათუ არ ასახავს რეალობას, მეტიც, ძალიან შორს დგას სიმართლისგან და რადიკალურად არასწორ წარმოდგენას უქმნის ობიექტურ მკითხველსა თუ შემფასებელს. სიმართლე არის ის, რომ უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ყოველკვირეულად, გამონაკლისის გარეშე, თანამშრომლობენ აკადემიურ დეპარტამენტებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან. თანამშრომლობა გამოიხატება მიზანმიმართული შინაარსის სამუშაო შეხვედრებსა თუ კონკრეტულ რეკომენდაციებში, რომელთა შემუშავების წყარო მრავალია, კერძოდ: მიზანმიმართულად შეგროვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგები, პროგრამათა გარე შეფასების შედეგების თემატური დაჯგუფებები, აკრედიტაციის საბჭოს კონკრეტულ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებები, სხვა უნივერსიტეტების გამოცდილების ანალიზი, კარგი საერთაშორისო პრაქტიკის/გამოცდილების დანერგვის შესაძლებლობები და ა.შ.. უნივერსიტეტი ამზადებს და ნერგავს ტრენინგებს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალისათვის, ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით აქტუალური თემებისა და საკითხების გაზიარების, ხარისხის კულტურის გაძლიერების მიზნით, მრავალი

მიმართულებებიდან დავით მახვილაძემ ყურადღება გაამხვილა რამდენიმე ასპექტზე, კერძოდ: ბოლო 18 თვის განმავლობაში ჩატარდა არაერთი ვორქშოპი - "ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონესთან, სწავლის შედეგების დადგენის მეთოდოლოგია"; ჩატარდა ვორქშოპები - "თვითშეფასების პროცესის დაგეგმვა და განხორციელება"; და ა.შ.

რაც შეეხება მონიტორინგასა და პერიოდულ შეფასებას, დავით მახვილაძემ აღნიშნა, რომ უსდ-ს შემუშავებული აქვს მონიტორინგის პროცესის კონკრეტული მეთოდოლოგია და პროცედურები დოკუმენტში: „სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა უნივერსიტეტში, ასევე მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია, რომელიც სისტემატურად ახორციელებს პროგრამებისა და სასწავლო კურსების პროგრამების (სილაბუსების) მონიტორინგს. ასევე, აღსანიშნავია 2021 წლის 08 ნოემბერს, „საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსის შესახებ“ დებულების ახალი რედაქციით დამტკიცება აკადემიური საბჭოს დადგენილებით, რომელმაც კიდევ უფრო გაამლიერა პროგრამის მონიტორინგის მიმართულება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, ნინო ჭალაგანიძემ დააზუსტა აქვს თუ არა დაწესებულებას ბენჩმარკინგის დოკუმენტი და შეისწავლა თუ არა ინსტიტუციამ საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკა. რაც შეეხება დისერტაციებს, მათი ჩამონათვალი გაცილებით მეტია იმაზე რაც წარმოდგენილია საქაღალდეში, შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა აღნიშნული შერჩევითი წესის პრინციპით იყო წარმოდგენილი და რამდენად გაეცნენ ექსპერტები მოცემულ დისერტაციებს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შესაძლოა ექსპერტთა ჯგუფსა და ინსტიტუციას კლასიფიკატორის მიმართებით, კერძოდ 0319-სოციალური და ქცევითი მეცნიერებებთან მიმარტებით განსხვავებული ხედვა აქვთ. შესაბამისად, აღნიშნულმა ხომ არ გამოიწვია რიგ შემთხვევებში შეფასებაში გარკვეული აცდენა. გოიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ გაცემული იქნა სკამაოდ ბევრი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია, რომელიც მხოლოდ პროგრამის განვითარებაზე არის ორიენტირებული.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნშნა, რომ პროგრამა თავისი შინაარსითა და წარმოდგენილი დისერტაციებით საკმაოდ საინტერესოა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასწვავლო კურსი ,,სწავლები მეთოდიკა“ გადის პროგრამის მე-7 შედეგზე და განმტკიცების დონეზე არის წარმოდგენილი, თუმცა სილაბუსის შინაარსი და ასევე თვითონ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები აღნიშნულის შესაძლებლობას ნაკლებად იძლევა. აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანია საკითხს მიექცეს ყურადღება. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა ყურადღება გაამხვილა ,,სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკის“ სასწავლო კურსზე, რომელიც თავისი შინაარსით საკმაოდ საინტერსოა, თუმცა რამდენად იძლევა სილაბუსში გამოყენებული ლიტერატურა შედეგზე გასვლის შესაძლებლობას, რადგან ლიტერატურად მითითებულია საბაკალავრო დონის სახელმძღვანელოები.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა წარმოდგენილი რეკომედნაციები, კერძოდ ერთ-ერთი მათგანი ეხებოდა პერსონალის მოტივაციას, ხოლო ერთ-ერთი ეხებოდა სტრატეგიული ლიდერობის საკითხს. დისერტაციები წარმოდგენილია საკმაოდ საინტერესო სტრუქტურით, თუმცა სადისერტაციაო ნაშრომის ბოლოს ბიბლიოგრაფიაში მითითებულია 130-მდე წყარო, ხოლო მეორეში 98-მდე. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ ბევრი წყარო არის საბაკალავრო დონის სახელმძღვანელო გარდა ამისა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს წყაროდ მითითებულია სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაცული საბაკალავრო ნაშრომები. მოცემული

დისერტაციები შეფასებულია მაღალი ქულით, შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რატომ ხდება საბაკალავრო საფეხურის სახელმძღვანელოების მითითება და გამოყენება.

საბჭოს წევრმა, ანა ფირცხალაშვილმა აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამა სოციოლოგიის პროგრამიდან გამომდმინარე იქნა შემოწმებული. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა დააზუსტა ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში არიან თუ არა უცხოელი პროფესორები ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტების მიერ პირველ და მეორე სტანდარტზე საკმაოდ დიდი ყურადღება იქნა გამახვილებული სასწავლო კომპონენტებთან დაკავშირებით. მაგალითად დასკნაში მოცემულია, რომ გაძლიერდებს კვლევის მეთოდების სწავლება. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში შეთავაზებულია ერთი 10 კრედიტიანი სასწავლო კურსი. თუ მიღებულმა დოქტორანტმა არ იცის კვლევის მეთოდები, რამდენი კურსი შეიძლება იყოს შეთავაზებული და ხომ არ გამოიწვევს აღნიშნული დუბლირებას სამაგისტრო საფეხურთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა ისაუბრა ასევე 2.3 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ სამეცნიერო კვლევის ტექნიკაში მითითებულია, რომ რეკომენდირებულია თეორიული კომპონენტების დამატება. როდესაც სოციალური მეცნიერებები ასეთი ფართო სფეროა, რომელი თეორიული კომპონენტი შეიძლება დაემატოს, რომლიც თეორიული დეფიციტის არსებობის შემთხვევაში აღნიშნულ მდგომარეობას აღმოფხვრის. კომპონენტთან დაკავშირებული ოთხივე რეკომენდაცია ეხება სასწავლო კურსების მოდიფიკაციას, გადაფარვების საკითხებსა და შეფასების კრიტერიუმებს. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად სჭირდება აღნიშნული საკითხების გამოსოწრებას ერთ წელიწადზე მეტი, გამომდინარე იქიდან, რომ სტანდარტი შეფასებულია როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. ამასთან საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ დოქტორანტის ხელმძღვანელობის მექანიზმის საკითხი.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ მოუწოდა ექსპერტებს განემარტათ რეკომენდაცია კოლოქვიუმთან დაკავშირებით და დააზუსტა თუ რამდენად აუცილებელია რომ აღნიშნულს ჰქონდეს განმავითარებელი შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ, ანა კირვალიძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა არის არაკლასიფიცირებული, ის წარმოადგენს სოციალურ მეცნიერებებს, რაც გულისხმობს იმას, რომ კვლევები უნდა მიმდინარეობდეს სოციალური მეცნიერებების მიმართულებით. თემატიკის უმრავლესობა, რომლებსაც დისერტაციის ფარგლებში ექსპერტები გაეცნენ და ასევე ის პროფესორები, რომლებიც ხელმძღვანელობას უწევენ დოქტორანტებს, არიან ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენლები. შესაბამისად, მოცემული საკითხი საკმაოდ მწვავედ დაისვა. განსაკუთრებით, როდესაც საუბარია სადოქტორო საფეხურზე, რესურსი უნდა იყოს მობილიზებული იმ კვლევის მიმართულებით, რის საშუალებასაც პროგრამა იძლევა. რა თქმა უნდა სოციალური მეცნიერებების სფერო ფართოა, შესაბამისად შეიძლება ჩართული იყოს სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტი, თუმცა აუცილებელია რომ აღნიშნული კვლევითი მიმართულება თავიდანვე იყოს გამოკვეთილი. მაგალითაც ფსიქოლოგიის მიმართულებით იყო მოთხოვნა ანალიზისა და კონსულტაციის მიმართულებით დისერტაციებზე, მაგრამ ამ მიმართუელბით პროგრამა ვერ უზრუნველყოფს ვერც დისერტაციებზე მუშაობას და ვერც შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავებას, ვინაიდან უპერველეს ყოვლისა დაწესებულებას არ აქვს ამის რესურსი.

ექსპერტმა ანა კირვალიძემ ასევე აღნიშნა, რომ პროგრამის მიხედვით, საუბარია სოციალური მეცნიერებების მეთოდებსა და მეთოდოლოგიაზე. თავისი შინაარსით სოციალური მეცნიერებების მეთოდები არის უნივერსალური და ის გამოიყენება მთელ რიგ დისციპლინებში. შესაბამისად, ნებისმიერი რჩევა კვლევის მეთოდებისა და ანალიზის კუთხით არ არის სოციოლოგიური შინაარსის ჩადება პროგრამაში. მნიშვნელვანია განისაზღვროს, რომ თუ სხვადასხვა კვლევითი სფეროს დოქტორანტი შემოდის პროგრამაზე რას სთავაზობს მას დაწესებულება. აქედან გამომდინარე, მნიშნელოვანია შეიქმნას კვლევითი მეთოდების მოდული. აღსანიშნავია ასევე, რომ სილაბუსების დიდი ნაწლი ეთმობა ემპირიული მონაცემების მოპოვების მეთოდებს, რომლებიც საბაკალავრო დონეზე შეისწავლება. სილაბუსის ძირითადი ნაწილები სწორედ ამ თემატიკით განისაზღვრება. მონაცემთა ანალიზს, რომელიც აუცილებელი და მნიშვნელოვანია სადოქტორო საფეხურისთვის ეთმობა მხოლოდ 1-2 საათი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დააზუსტა რომ საბჭზე წარმოდგენილი იქნა დაწესებულების მიერ მოწოდებული დისერტაციები. მოცემულ შემთხვევაში ძირითადად ყურადღება გამახვილდა დისერტაციების შინაარსსა და განვითარების შესაძლებლობაზე. თუმცა სტრუქტურა, მეთოდოლოგია და ანალიზის დონე საკმაოდ პროლემური იყო მოცემულ ნაშრომებში. გარდა ამისა, ექსპერტები გაესაბურნენ ასევე დამსაქმებლებს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროგრამა თავისი აკადემიური პერსონალით დამსაქმებლებთან მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩამონთვალში გადატანილი იყო ის დისერტაციები, რომლებიც ექსპერტთა მოსაზრებით შინაარსობრივად არ შეესაბამებოდა სოციალურ მეცნნიერებებს.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ დააზუსტა თუ რამდენად აღმოფხვრიდა სასწავლო კომპონენტი პროგრამის ფარგლებში არსებულ ხარვეზებს. პირობითად სოციალური მეცნიერებების ფილოსოფიის დამატება გადაჭრის თუ არა დისერტაციების ხარისხის პრობლემას.

ექსპერტმა, ანა კირვალიძემ განმარტა, რომ კურსი საკმაოდ დიდი მნიშვნელობისაა ვინაიდნა თეორიისა და ემპირიის გაერთიანება სწორედ მან უნდა შეძლოს. უცილებელია რომ მეთოდები იყოს მრავალფეროვანი, რომ მოხდეს დოქტორანტების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ დააზუსტა თუ რა კუთხით გადიოდა დისერტაციები სოციალური მეცნიერებების კვალიფიკაციაზე. მხოლოდ დასახელებით მსჯელობა შეუძლებელია. შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ თუ რა არის ის გამაერთიანებელი, რომელიც დისერტაციების დაცვის შედეგად სოციალური მეცნიერებების დოქტორის ხარისხის მინიჭებას გაამართლებს.

ექსპერტმა, ანა კირვალიძემ ასევე ისაუბრა კოლოქვიუმთან დაკავშირებით და განმარტა, რომ შეფასება ნამდვილად აუცილებელია რომ იყოს სტუდენტისთვის გამჭვირვალე და გასაგები, შესაბამისად, მნიშვნელოვანია სტუდენტმა იცოდეს თუ რა კრიტერიუმებით ხდება მისი შეფასება, რაშიც იგულისხმება არა მხოლოდ ტექნიკური ნაწილი, არამედ შინაარსობრივიც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ ბენჩმარკინგთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან შესაბამისობის კუთხით განხორციელდა პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების მსგავს პროგრამებთან.

წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამის ანალოგის პოვნა შესაძლებელია თითქმის ყველა იმ უნივერსიტეტის საიტზე რომელთაც მსგავსი პროგრმა გააჩნიათ, რაც იმით არის განპირობებული, რომ თანამედროვე მსოფიოლოში „სოციალური მეცნიერებების“ სწავლების სტანდარტები (მცირედი სპეციფიკური გადახრების მიუხედავად, რომლებიც შეიძლება ამა თუ იმ პროგრამას გააჩნდეს) დაახლოებით ერთმანეთის იდენტურია. სადოქტორო პროგრამის კონკრეტული ანალოგიების ნახვა შესაძლებელია: 1. კანადის ვიქტორიის, 2. ლესტერისა 3. და მეინუტის უნივერსიტეტებში, რომლებიც თავისი მიდგომითა და აკადემიური ბადით ახლოსაა მოცემულ „სოციალური მეცნიერებების“ წარმოდგენილ სადოქტორო პროგრამასთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია კანადის ვიქტორიის უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამა. ამ პროგრამების ურთიერთშედარებისა და ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ წარმოდგენილი პროგრამა 60-70%- ით ემთხვევა მის უცხოურ ანალოგს, რადგანაც თითქმის ყველა მათგანშია წარმოდგენილია კვლევის მეთოდების კურსები და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები. ასევე რიგი აუცილებელი სასწავლო დისციპლინები, რომელთა სწავლების გარეშე წარმოუდგენელია სფეროს კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება სადოქტორო სწავლების დონეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ ისაუბრა ასევე რეკომენდაციების გათვალისწინების საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია, რომლიც საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგაც მნიშვნელოვანი და აუცილებელი იქნება პროგრამის განვითარებისთვის დაწესებულების მხრიდან აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

რაც შეეხება სწავლის მეთოდების მიმართებას მე-7 შედეგთან, აღნიშნული ნამდვილად წარმოადგენს პროგრამის ხარვეზს რაც აუცილებლად იქნება გამოსწორებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით მახვილაძემ ისაუბრა ასევე დისერტაციებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემული საკითხი არის გამოკვეთილდა პროგრამის სუსტი მხარე, თუმცა პროგრამისა და ნაშრომის ხელმძღვანელის ვალდებულებები დეტალურად არის წარმოდგენილი და გაწერილი, რაც მოცემული იყო ასევე დაწესებულების არგმენტირებულ პოზიციაში. პრაქტიკულად ორ პრობლემას აწყდება დაწესებულება, ესაა ერთი როდესაც შინაარსობრივად დისერტაცია არის საკმაოდ საინტერესო, მაგრამ პრობელმა არის ბიბლიოგრაფიასთან და მეორე ხარვეზს წარმოადგენს ასევე ფორმა, თუმცა ამ ეტაპზე დაწესებულებაში კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით განსაკუთრებულად არის გამახვილებული ყურადღება. რაც შეეხება შეფასებების ნაწილს, აღნიშნულიც წარმოადგენს გამოკვეთილ პრობლემას, წინა წლის პრაქტიკებიდან გამომდინარე ძირითადად მაღალი შეფასებები იწერებოდა ხოლმე, რაც ამ ეტაპზე რადიკალურად შეიცვალა და რეალურად დაწესებულება მიდის იქამდე, რომ მსგავსი ხარვეზები მაქსიმალურად იყოს ერთიანად აღმოფხვრილი.

რაც შეეხება ინტერნაციონალიზაციის საკითხს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის პრიორიტეტულ მიმართულებებში განსაზღვრულია ,ხარისხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება“ და ,,ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა“, რომელთა წარმატებით განხორციელება მეტწილად დაფუძნებულია აკადემიური პერსონალის განვითარებაზე. შესაბამისად, უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი პროცესის ეფექტიანად წარმართვის ხელშეწყობისათვის შემუშავებულია პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრატეგია“ უნივერსიტეტი ფინანსურად უზრუნველყოფს და ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის აქტიურ ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში,

სემინარებში, ვორკშოფებში, ტრენინგებსადაგამოფენებში. ასევე, სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზებასა და მუშაობაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს პერსონალის კარიერულ განვითარებაზე. აკადემიური პერსონალის მონაცემები და შრომების ჩამონათვალი განთავსებული უნივერსიტეტის ვებ გვერდზე. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულებას აქტიური კომუნიკაცია აქვს უცხოელ კოლეგებთან და აქტიურად იგეგმება როგორც მათი ჩართულობა და თანახელმძღვანელობა, ასევე უცხოელი კოლეგების მიერ ნაშრომების ხელმძღვანელობა.

მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს, კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება; ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატი, ან უნდა ჩააბაროს გამოცდა სტუ-ის საგამოცდო ცენტრში. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. მნიშვნელოვანია ასევე, რომ დაწესებულება დოქტორანტებისთვის არ აწესებს წინასწარ ჩარჩოებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ პროგრამის კვლევითი კომპონენტის სავალდებულო ელემენტებია: პროექტი/პროსპექტუსი; კოლოკვიუმი - 1; კოლოკვიუმი - 2; კოლოკვიუმი - 3; წინასწარი დაცვა; დისერტაციის დასრულება და დაცვა. დოქტორანტი კვლევითი კომპონენტების მომზადებას იწყებს მეორე სემესტრიდან: პროექტი/პროსპექტუსი; მესამე სემესტრი: კოლოკვიუმი - 1; მეოთხე სემესტრი: კოლოკვიუმი -2; მეხუთე სემესტრი: კოლოკვიუმი -3; მეექვსე სემესტრი: წინასწარი დაცვა, დისერტაციის დასრულება და დაცვა. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადად, დისერტაციის დაცვის დროს, რაც დეტალირად არის განსაზღვრული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში.

აღსანიშნავია ასევე, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ ხდება დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასება. სადისერტაციო ნაშრომის დაცვა ხდება სტუ-ში არსებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების თანახმად შესაბამისი კომისიის მიერ. სადისეტაციო ნაშრომის შეფასება უზრუნველყოფილია გარე შემფასებლის მონაწილეოით. ნაშრომის დაცვა საჯაროა. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტს აქვს შეფასების შედეგების გასაჩივრების შესაძლებლობა. სტუდენტებს საშუალება აქვთ ცოდნის შეფასების მექანიზმების შესახებ ინფორმაცია მიიღონ საგანმანათლებლო პროგრამიდან, სილაბუსებიდან, კონკრეტული საგნის პროფესორის ან პროგრამის ხელმძღვანელისაგან. უკუგება უზრუნველყოფილია სტუდენტების გამოკითხვის შედეგების ანალიზით. შეფასების კრიტერიუმების გამჭვირვალობა უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. მიღებული შეფასებების გაცნობის საშუალება სტუდენტებს აქვთ სტუ-ის ვებგვერდზე არსებულ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემის მეშვეობით. შეფასების კრიტერიუმების წინასწარი ცოდნა, აგრეთვე ინფორმაცია შეფასებების შესახებ აძლევს მათ საშუალებას გაითვალისწინონ საკუთარი ხარვეზები და იზრუნონ მათ გამოსწორებაზე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:03
დასრულების დრო: 21:25

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება. საბჭომ ცალკეულ კომპონენტებში დაამატა ან/და ამოიღო რეკომენდაციები და რჩევები, ასევე, რამდენიმე რეკომენდაციას შეუცვალა ფორმულირება, რის შედეგადაც:

1.1 და 1.2 კომპონენტები, ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; საბჭოს მიერ აღნიშნული კომპონენტების ცვლილებამ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება, კერძოდ პირველი სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“.

2.2 კომპონენტი, ნაცვლად ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.3 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; 2.5 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, საბჭოს მიერ აღნიშნული კომპონენტების ცვლილებამ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება, კერძოდ მეორე სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, საბჭოს მიერ აღნიშნული კომპონენტების ცვლილებამ გამოიწვია მესამე სტანდარტის შეფასების ცვლილება, კერძოდ მესამე სტანდარტი ნაცვლად „მეტწილაფ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4.1 კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 4.2. კომპონენტი კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, 4.4. კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, საბჭოს მიერ აღნიშნული კომპონენტების ცვლილებამ გამოიწვია მეოთხე სტანდარტის შეფასების ცვლილება, კერძოდ მეოთხე სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

5.1. კომპონენტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, საბჭოს მიერ აღნიშნული კომპონენტების ცვლილებამ გამოიწვია მეხუთე სტანდარტის შეფასების ცვლილება, კერძოდ მეხუთე სტანდარტი ნაცვლად „ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია მიზნები ფორმულირებული იყოს ისე, რომ ჩანდეს კონკრეტულად რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;
2. რეკომენდებულია გადაიხედოს ცალკეული სასწავლო კურსების ადგილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში და ჩასწორდეს ხარვეზები კურიკულუმის რუკაში;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსის სილაბუსებში, სავალდებულო ლიტერატურაში გათვალისწინებული იქნას სფეროს აქტუალური მიღწევები და უახლესი კვლევები;

4. რეკომენდებულია, სასწავლო კურსებში თემების დუბლირებისა და თემატური გადაფარვის თავიდან არიდების მიზნით კურსში -„სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა“ არ გამეორდეს სასწავლო კურსის -„სოციალური კვლევის მეთოდები“ თემატიკას, როგორიცაა კვლევის მნიშვნელობა, მიზნები, მეთოდოლოგია, კვლევის მეთოდი, პროცესი, კვლევის ეთიკა;
5. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგებზე გასვლის მიზნით კურსში „სოციალური კვლევის მეთოდები“ გამრავალფეროვნდეს სილაბუსში გათვალისწინებული სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდები, გაძლიერდეს თვისებრივი, რაოდენობრივი და შერეული კვლევის მეთოდებით მოპოვებული მონაცემთა ანალიზის სწავლება;
6. რეკომენდებულია შედეგის სრულყოფილად მიღწევისთვის პროგრამის სასწავლო კურსებში/სემინარებში და სხვა აკადემიურ აქტივობებში პრაქტიკული (კვლევითი) კომპონენტის გაძლიერება;
7. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე დაშვების წინაპირობად განისაზღვროს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (Scopus და Web of Science) ინდექსირებულ ჟურნალში სულ მცირე ერთი სტატიის/პუბლიკაციის გამოქვეყნება;
8. პროგრამაში დასახული მიზნების სრულყოფილად მიღწევის მიზნით რეკომენდებულია კურსის „სოციალური კვლევის მეთოდები“ სილაბუსში პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოიცავდეს მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებას (მაგ. ემპირიული კვლევა), რათა შესაბამისობაში იყოს კურსის შინაარსთან, სწავლის შედგებთან და უზრუნველყოს მათი მიღწევა;
9. რეკომენდებულია დოქტორანტებთან ინდივიდუალური მუშაობისას საკვლევი თემის შერჩევა მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად;
10. რეკომენდებულია გაუმჯობესდეს დოქტორანტებთან ინდივიდუალური მუშაობა საკვალიფიკაციო ნაშრომებზე სწავლებისა საფეხურისა და სფეროს შესაბამისი კვლევის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად;
11. პროგრამის დასახული მიზნების სრულყოფილად განხორციელების მიზნით რეკომენდებულია დოქტორანტებს სამეცნიერო ხელმძღვანელობა გაუწიოს აკადემიურმა პერსონალმა, რომელსაც აქვს საკვლევი თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება;
12. რეკომენდირებულია სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ დოქტორანტების მიერ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება, სადოქტორო ნაშრომების გაფორმების წესების სრულყოფილად დაცვა;
13. რეკომენდებულია გამკაცრდეს მოთხოვნები აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით პროდუქტიულობაზე;
14. რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებლი აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობის უზრუნველყოფა პროგრამის მდგრადი განვითარების მიზნით;
15. რეკომენდირებულია ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას სამეცნიერო კვლევითი აქტივობების, მათ შორის საერთაშორისო მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების მხარდამჭერი ღონისძიებები;
16. რეკომენდებულია ხარისხის მართვის შიდა მექანიზმების სრულყოფილად ამოქმედება პროგრამის განვითარების უზრუნველსაყოფად;
17. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავოს პროგრამაზე დაკვირვების სათანადო კრიტერიუმები და ინდიკატორები, რათა მონიტორინგის ფარგლებში მეტად იყოს გამახვილებული ყურადღება პროგრამის მახასიათებლებზე, განსაკუთრებით პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათის გათვალისწინებით, სადოქტორო დისერტაციის ხელმძღვანელებისა და განმახორციელებელი პერსონალის შესაბამისობის მიმართულებით.

რჩევები:
18. სასურველია პროგრამამ გააძლიეროს ინტერნაციონალიზაციის პროცესი და შესაბამისი აქტივობებით დატვირთოს დოქტორანტის სამეცნიერო მუშაობა (მათ შორის, ხელი შეუწყოს საერთაშორისო აკადემიურ ქსელში დოქტორანტის ინტეგრაციას, უცხოელი პროფესორის/მკვლევარის თანახელმძღვანელობის შესაძლებლობას, საერთაშორისო მკვლევარებთან კვლევით პროექტებში თანამშრომლობას და პუბლიკაციებზე თანაავტორობის შესაძლებლობას.);
19. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაიხვეწოს კვლევის მეთოდოლოგია;
20. სასურველია წარმოდგენილ იყოს ინფორმაცია საჯაროდ, თუ რა კრიტერიუმებით მოხდება აპლიკანტის შეფასება გასაუბრებაზე;
21. სასურველია პროგრამის კურიკულუმს დაემატოს თვისებრივი მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამის კურსი (მაგ. NVivo, Atlas ti ან სხვა) და მონაცემთა ანალიზისა და დამუშავების ინტენსიური კურსები;
22. სასურველია სილაბუსებში თვალსაჩინოდ იყოს მითითებული თემატიკა;
23. სასურველია, გაზლიერდეს თვისებრივი კვლევების განხორციელებისათვის, პროგრამის რესურსებში მონაცემების ანალიზის კომპიუტერული პროგრამების ტექნიკური უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის **2 წლის ვადით** პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3, მე-3^2 ქვეპუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხ ლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, 33-ე მუხლის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სოციალური მეცნიერებების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა 2 წლიანი პირობითი აკრედიტაცია.

22:26-საბჭოს სხდომა დატოვა გიორგი ღაღანიძემ
22:27- საბჭოს სხდომა დატოვა ნინო ინასარიძემ

მეოთხე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.09.2011, გადაწყვეტილება N03
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჟურნალისტიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ. N1, N3, N11, N8, N14, თსუ-ს კორპუსებიI, II, III, VI და IV; თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ნინო ჭალაგანიძემ, თეონა მატარაძემ და მარიამ შენგელიამ მეოთხე საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება, საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნად მე-4 საკითხის განსახილველად განისაზღვრა, მაკა კაჭარავა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პ როგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნატალია თვალჭრელიძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შემოწმება დაწესებულებაში განხორციელდა 2021 წლის 17, 18 და 19 ნოემბერს. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, შეფასება უმეტესწილად განხორციელდა დისტანციურად, zoom პროგრამის მეშვეობით. შეხვედრები შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, რომელნიც აგრეთვე ჩართულნი არიან პროგრამაში შემავალი პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში. შეხვედრა ასევე გაიმართა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. 2021 წლის 17 ნოემბერს აკრედიტაციის ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიური ბაზა, რომელიც მიმართულია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გაძიერებისაკენ, კერძოდ უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრი (თსუ კორპ 6), სადაც სამონტაჟოების, საეთეროების, რადიო სტუდიებისა და ბეჭდური გამოცემების ტექნიკურ შესაძლებლობებთან ერთად გაეცნენ სტუდენტების ნამუშევრებს, როგორც ბეჭდურ, ისე ტელე მედიაში. სააკრედიტაციო ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთანე ერთად აგრეთვე მიმოიხილეს თსუ-ს სხვა სასწავლო რესურსები, გაეცნენ ბიბლიოთეკის საძებო სისტემასა და ბაზებს. აკრედიტაციის ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, პროფესიულ და თანამშრომლობით გარემოში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დასწრების კომპონენტი არ იყოს შეფასებადი და ქულები შესაბამისად იყოს გაწერილი აქტივობაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა შამილიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ გამოთქმულ რეკომენდაცია გაზიარებული იქნება. შეფასების კრიტერიუმები რეფორმულირდება რეკომენდაციის შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ მოუწოდა ექსპერტებს განემარტათ პირველი რჩევა დუბლირებასთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნატალია თვალჭრელიძემ განმარტა, რომ პროგრამაში არის ორი სასწავლო კურსი რომელსაც ერთი და იგივე სახელმწოდება აქვს, თუმცა ისწავლება სხვადასხვა პედაგოგის მიერ და თემატიკაც არა არის იდენტური, მაგრამ მაინც გვხდება მსგვასი საკითხები. ვიზიტის დროს დაწესებულებასთან კომუნიკაციისას უნივერსიტეტის წარმომადგნელები ირწმუნებოდნენ რომ საქმე ეხებოდა ორ განსხვავებულ კურსს. იქიდან გამომდნარე, რომ ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო აღნიშნული განმარტება, საკითხი განისაზღვრა მხოლოდ რჩევის სახით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:20
დასრულების დრო: 22:37

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა: სააკრედიტ ციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2

პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

მეხუთე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მედიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მედიის კვლევები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	09.09.2011, გადაწყვეტილება N5
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია და მედიის კვლევები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მედიის კვლევების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის 8, 14, თბილისი, კორპუსი VI, 0179, საქართველო.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

ნინო ჭალაგანიძემ, თეონა მატარაძემ და მარიამ შენგელიამ მეოთხე საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება, საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნად მე-5 საკითხის განსახილველად განისაზღვრა, მაკა კაჭარავა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შემოწმება დაწესებულებაში განხორციელდა 2021 წლის 17, 18 და 19 ნოემბერს. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, შეფასება უმეტესწილად განხორციელდა დისტანციურად, zoom პროგრამის მეშვეობით. შეხვედრები შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან. შეხვედრა ასევე გაიმართა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. 2021 წლის 17 ნოემბერს აკრედიტაციის ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიური ბაზა და უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრი (თსუ კორპ 6). სააკრედიტაციო ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აგრეთვე, მიმოიხილეს თსუ-ს სხვა სასწავლო რესურსები, გაეცნენ ბიბლიოთეკის საძებო სისტემასა და ბაზებს.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მედიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

- მემორადუმების ფარგლებში არსებულ ორგანიზაციებთან შემუშავდეს პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსი.
- სამაუწყებლო პროდუსირების სასწავლო კურსის შინაარსი (მათ შორის შეფასების კომპონენტები, ლიტერატურა) დაკორექტირდეს კურსის მიზნებისა და შედეგების შესაბამისად.
- რეკომენდებულია, დასწრების კომპონენტი არ იყოს შეფასებადი და ქულები შესაბამისად იყოს გაწერილი აქტივობაზე.
- რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის დამატება, რათა მოხდეს ხელმძღვანელობის რაციონალური დატვირთვის გადანაწილება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მანანა შამილიშვილმა, მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პროგრამით გათვალისწინებულ ცალკეულ სასწავლო კურსებში ჩაშენებულია პრაქტიკული კომპონენტი, მაგალითად: „მედიამონიტორინგი და ანალიზი“, „მონაცემთა ანალიზი და მედიარეპროდუცირება“, „თანამედროვე ქართული მედიის კრიტიკული ანალიზი“. გარდა ამისა, მემორანდუმის საფუძველზე პარტნიორი ორგანიზაციები აძლევენ საშუალებას მაგისტრანტებს ჩაერთონ კვლევით საქმიანობაში. აღნიშნულიდან და საგანმანათლებლო პროგრამის კონცეფციიდან გამომდინარე, რეკომენდაციის მიზანი მიღწეულია.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით მანანა შამილიშვილმა აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფი მიერ შემუშავებული რეკომენდაცია სრულად გასაზიარებელია. მან დამატებით აღნიშნა რომ აღნიშნულ სასწავლო კურსზე მუშაობა დაწყებულია და უახლოეს პერიოდში მიიღებს რეკომენდებულ სახეს.

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ექსპერტთა მიერ გამოთქმულ რეკომენდაცია გაზიარებული იქნება. შეფასების კრიტერიუმები რეფორმულირდება რეკომენდაციის შესაბამისად.

რაც შეეხება მე-4 რეკომენდაციას, მანანა შამილიშვილმა აღნიშნა, რომ ნამდვილად სასარგებლო და გასათვალისწინებელი რჩევაა, თუმცა ბოლო წლების გამოცდილება ადასტურებს, რომ მაქსიმუმ ოთხ ნაშრომზე მეტი ნაშრომის ხელმძღვანელობის პრაქტიკა არ აქვს ინსტიტუციას, რაც რაციონალურად მიაჩნიათ. ამასთან ერთად, დაწესებულებას გადმოაქვს საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში დანერგილი პრაქტიკა, რაც ექსპერტთა ჯგუფის აკადემიურ პერსონალთან შეხვედრების დროს აღინიშნა. კერძოდ, ერთი თემატური ქოლგის ქვეშ ინსტიტუცია აპირებს იკვლიოს მასშტაბური პრობლემის სხვადასხვა ასპექტი, რაც დაეხმარება

საკითხის კომპლექსურად შესწავლაში. ეს მიდგომა აუმჯობესებს კვლევების სიღრმესა და ხარისხს. დაწესებულებას უკვე შერჩეული აქვს ასეთი ორი მსხვილი თემა: „საბჭოთა პერიოდის ქართული მედიადისკურსი და მისი რეფლექსირება“ „მედიის ახალი ნორმალობა“.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ დააზუსტა თუ რამდენი სტუდენტი სწავლობდა ამ ეტაპზე პროგრამაზე და როგორია მიმართება აკადემიურ პერსონალთან. ასევე საბჭოს წევრმა დააზუსტა აქვს თუ არა ინსტიტუციას გეგმაში მოწვეული პერსონალის დამატება და არის თუ არა ამის საჭიროება.
საბჭოს თავმჯდომარე, ნათია ზედგენიძე-ჯიშარიანმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს ესაუბრათ სამაგისტრო ნაშრომებზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ექსპერტებს ჰქონდათ ნაშრომების სრული ჩამონათვალი და ჰქონდათ რამდენიმე მათგანის გადახედვის შესაძლებლობა. მთლიანობაში ნაშრომები გამოირჩევა საინტერესო კვლევითი თემატიკით და ტექნიკურადაც საკამოდ გამართულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მანანა შამილიშვილმა განმარტა, რომ გაკვეული სიმძიმე დატვირთვის კუთხით არსებობდა, თუმცა დაწესებულება არსებულ მდგომარეობას სრულიად უმკლავდება. მნიშვნელოვანია ასევე, რომ რეგულირდება ხელმძღვანელობის საკითხიც.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:20
დასრულების დრო: 22:37

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:
რეკომენდაციები:
1. "სამაუწყებლო პროდუსირების“ სასწავლო კურსის შინაარსი (მათ შორის შეფასების კომპონენტები, ლიტერატურა) დაკორექტირდეს კურსის მიზნებისა და შედეგების შესაბამისად;
2. მემორადუმების ფარგლებში აღნიშნულ ორგანიზაციებთან შემუშავდეს პრაქტიკის არჩევითი სასწავლო კურსი;
3. რეკომენდებულია, დასწრების კომპონენტი არ იყოს შეფასებადი და ქულები შესაბამისად იყოს გაწერილი აქტივობაზე;
4. რეკომენდებულია აკადემიური პერსონალის დამატება, რათა მოხდეს ხელმძღვანელობის დატვირთვის რაციონალური გადანაწილება.

რჩევები:
5. სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა იმ შესაძლებლობების თაობაზე, რასაც პროგრამა მათ სთავაზობს;
6. სასურველია დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გააქტიურება პროგრამის მიმდინარეობის შესახებ და მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის დახვეწისა და განვითარების პროცესში;
7. ინტერვიუს ფარგლებში გამოვლენილი არათანაბარი ინფორმაციულობის გათვალისწინებით, სასურველია გააქტიურდეს დამატებითი აქტივობების ინიცირება სტუდენტთა და მოწვეულ ლექტორთა ჩართულობის წახალისებისთვის;
8. სასურველია კოლეგიალური შეფასების განხორციელება აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით, რაც წაადგება კურიკულუმისა და შესაძლებლობების გაუმჯობესებას, დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მედიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ,,მედიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეექვსე საკითხი : სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მასობრივი კომუნიკაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		26.07.2012, გადაწყვეტილება N280

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მასობრივი კომუნიკაციის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0321 - ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	30
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზ. N 8, თსუVI კორპუსი. თბილისი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

ნინო ჭალაგანიძემ, თეონა მატარაძემ და მარიამ შენგელიამ მეოთხე საკითხთან მიმართებით განაცხადეს თვითაცილება, საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის მდივნად მე-6 საკითხის განსახილველად განისაზღვრა, მაკა კაჭარავა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ, სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დასკვნაში დაფიქსირებული შეფასებების საბჭოს წევრებისთვის გაზიარების მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ნატალია თვალჭრელიძემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროგრამის შემოწმება დაწესებულებაში განხორციელდა 2021 წლის 17, 18 და 19 ნოემბერს. კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით, შეფასება უმეტესწილად განხორციელდა დისტანციურად, zoom პროგრამის მეშვეობით. შეხვედრები შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან. შეხვედრა ასევე გაიმართა პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. 2021 წლის 17 ნოემბერს აკრედიტაციის ექსპერტებმა დაათვალიერეს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიური ბაზა და უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრი (თსუ კორპ 6). სააკრედიტაციო ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა 4 ჯგუფმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აგრეთვე, მიმოიხილეს თსუ-ს სხვა სასწავლო რესურსები, გაეცნენ ბიბლიოთეკის საძებო სისტემასა და ბაზებს. აკრედიტაციის ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ, პროფესიულ და თანამშრომლობით გარემოში.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველი სტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორე სტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამე სტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხე სტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთე სტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის თეორიულ და კვლევით ბუნებასთან და პროგრამის მიზნებიდან ამოღებულ იქნას ჟურნალისტური პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- რეკომენდებულია, მეტი აკადემიური პერსონალის დამატება, რათა მოხდეს ხელმძღვანელობის დატვირთვის გადანაწილება.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მანანა შამილიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს კონსტრუქციული ვიზიტისთვის და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ სახეზე იყო ტექნიკურ

ხარვეზი, რაც გულისხმობდა მსაზღვრელის - „კვლევითი“ უნებლიე გამორჩენას. მან დამატებით აღნისნა, რომ ეს გარემოება მართებულად აღნიშნული იყო თავად ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ვიზიტის ფარგლებში. მანანა შამილიშვილმა დამატებით განაცხადა, რომ დასკვნაში ფიქსირდებდა ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ: წინამდებარე კომპონენტის შეფასებით ნაწილში მოთითებული იყო “სრული შესაბამისობა” ნაცვლად “მეტწილი შესაბამისობისა”, ხოლო კომპონენტში 1.2., სადაც მხოლოდ რჩევის რუბრიკაში იყო კომენტარი მონიშნულია “მეტწილი შესაბამისობა”, ნაცვლად “სრული შესაბამისობისა”.

მე-2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით მანანა შამილიშვილმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის სასარგებლო და გასათვალისწინებელი რჩევა იყო შემუშავებული, თუმცა ბოლო წლების გამოცდილება ადასტურებდა, რომ მაქსიმუმ ორ ნაშრომზე მეტის ხელმძღვანელობის პრაქტიკა დაწესებულებას არ აქვს, რაც სავსებით რაციონალურია.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ საკუთარი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ მიღების წინაპირობებში დაწესებულებას უწერია უცხო ენის B2 დონე, თუმცა მნიშვნელოვანია დაკონკრეტდეს თუ რომელ უცხო ენაზეა საუბარი. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმაში ორჯერ არის მოცემული პროფესორის ასისტენტობა, როგორც სავალდებულო კომპონენტში, ასევე არჩევით კომპონენტში, შესაბამისად საბჭოს წევრმა მოუწოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგენიძე-ჯიშჯარიანმა ყურადღება გაამახვილა 2.1 კომპონენტთან მიმართები შემუშავებულ რჩევასთან დაკავშირებით და მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ, ნატალია თვალჭრელიძემ განმარტა, რომ მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც დოქტორანტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები: მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის ფლობა მასობრივ კომუნიკაციაში, სოციალურ მეცნიერებებში ან სხვა სპეციალობაში; უცხოური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე (დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა ან გამოცდის ჩაბარება (წერითი)); სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელისა და პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა; სადოქტორო კვლევითი პროექტის გეგმის (პროსპექტუსი) წარმოდგენა; დარგობრივი გასაუბრება (მათ შორს სადოქტორო კვლევითი პროექტის - პროსპექტურის შესახებ). უმჯობესი იქნება, დოქტორანტობის კანდიდატის მასობრივი კომუნიკაციის თეორიებისა და კონცეფციების და ციფრული მედიის შესახებ ფორმალურად შემოწმდეს გასაუბრებისა და/ან გამოცდის სახით. ასევე, ვინაიდან პროფესიული ლიტერატურის უმრავლესობა ინგლისურენოვანია, უმჯობესი იქნება მისაღებ პროცედურაში დაკონკრეტდეს, რომ დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება არა ნებისმიერი უცხოური ენის ცოდნა, არამედ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა, ვინაიდან სხვა შემთხვევაში დოქტორანტს გაუჭირდება თანამედროვე ლიტერატურაზე მუშაობა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო შამილიშვილმა განმარტა, რომ დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება არა ნებისმიერი უცხოური ენის ცოდნა, არამედ ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. რაც შეეხება ასისტენტობას, სასწავლო კურსებს აქვთ განსხვავებული სწავლის შედეგები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 22:20
დასრულების დრო: 22:37

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა: სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი:
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნები შესამაბისობაში მოვიდეს პროგრამის თეორიულ და კვლევით ბუნებასთან და პროგრამის მიზნებიდან ამოღებულ იქნას ჟურნალისტური პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
2. რეკომენდებულია, მეტი აკადემიური პერსონალის დამატება, რათა მოხდეს ხელმძღვანელობის დატვირთვის გადანაწილება.

რჩევები:
3. სასურველია დოქტორანტები უკეთ იყვნენ ინფორმირებულები პროგრამის შესახებ;
4. სასურველია უსდ-მ შეიმუშავოს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს დოქტორანტების პროფესიული ცოდნის შემოწმებას გასაუბრების და/ან გამოცდის მეშვეობით;
5. სასურველია პროგრამის დაშვების წინაპირობებში დაკონკრეტდეს უცხო ენის კომპეტენცია და უზრუნველყოფილ იქნას განახლებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ვებ-გვერდზეც (მათ შორის პროგრამის აღწერილობითი ნაწილის შესაბამისი ინფორმაციის);
6. სასურველია, უნივერსიტეტმა პროგრამის დოკუმენტაცია შესაბამისობაში მოიყვანოს ეროვნული კვალიფიკაციების ახალ ჩარჩოსთან;
7. სასურველია უნივერსიტეტმა მაქსიმალურად უზრუნველყოს სტუდენტების ჩართულობა კვლევით პროექტებში;
8. სასურველია დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გააქტიურება პროგრამის მიმდინარეობის შესახებ და მათი მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის დახვეწისა და განვითარების პროცესში;
9. ინტერვიუს ფარგლებში გამოვლენილი არათანაბარი ინფორმაციულობის გათვალისწინებით, სასურველია გააქტიურდეს დამატებითი აქტივობების ინიცირება სტუდენტთა და მოწვეულ ლექტორთა ჩართულობის წახალისებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "მასობრივი კომუნიკაციის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2021 წლის 22:40 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
სხდომის მდივანი
კაჭარავა მაკა